

ადნიშნული დოკუმენტი განკუთვნილია მხოლოდ დოკუმენტირებისთვის და დაწესებულებები არ არიან პასუხისმგებელი მის შინაარსზე

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის 2006/21/EC დირექტივა მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ და ცვლილება 2004/35/EC დირექტივაში (OJ L 102, 11.4.2006, გვერდი 15)

<u>ცვლილების განმარტება</u>	ოფიციალური ჟურნალი
	ნომერი გვერდი თარიღი
	L 188 14 18.7.2009

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის რეგულაცია (EC) #596/2009

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის 2006/21/EC დირექტივა მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ და ცვლილება 2004/35/EC დირექტივაში

ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო, ითვალისწინებენ რა ევროგაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, კერძოდ, 175-ე მუხლის პირველ პუნქტს, ითვალისწინებენ რა კომისიის შეთავაზებას, ითვალისწინებენ რა ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებას¹, ითვალისწინებენ რა რეგიონების კომიტეტის მოსაზრებას², მოქმედებენ რა ხელშეკრულების 251-ე მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად³, შერიგების კომიტეტის მიერ 2005 წლის 8 დეკემბერს დამტკიცებული ერთობლივი ტექსტის გათვალისწინებით, რამდენადაც:

1) კომისიის კომუნიკაციაში სახელწოდებით „უსაფრთხო წიაღით სარგებლობა: მოპოვების დროს მომხდარი ბოლოდროინდელი ავარიების შედეგი“, ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად მითითებულია მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის რეგულირების შემოღების ინიციატივა. ადნიშნული ქმედება მიზნად ისახავს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 16 დეკემბრის 2003/105/EC დირექტივით გათვალისწინებული ინიციატივების შევსებას, რომელიც ცვლის საბჭოს 96/82/EC დირექტივას სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხეების შესახებ⁴, ასევე საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დოკუმენტის შექმნას, რომელიც მოიცავს წიაღით სარგებლობის შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების და ე.წ. „კუდების“ მართვას, საბჭოს 1996 წლის 24 სექტემბრის 96/61/EC დირექტივის შესაბამისად, რომელიც ეხება დაბინძურების კომპლექსურ პრევენციასა და კონტროლს⁵.

This document is meant purely as a documentation tool and the institutions do not assume any liability for its contents

DIRECTIVE 2006/21/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 15 March 2006 on the management of waste from extractive industries and amending Directive 2004/35/EC (OJ L 102, 11.4.2006, p. 15)

<u>Amended by:</u>	Official Journal
	No page date
	L 188 14 18.7.2009

Regulation (EC) No 596/2009 of the European Parliament and of the Council of 18 June 2009

DIRECTIVE 2006/21/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 15 March 2006 on the management of waste from extractive industries and amending Directive 2004/35/EC

THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL OF THE EUROPEAN UNION, Having regard to the Treaty establishing the European Community, and in particular Article 175(1) thereof, Having regard to the proposal from the Commission, Having regard to the opinion of the European Economic and Social Committee ⁽¹⁾, Having regard to the opinion of the Committee of the Regions ⁽²⁾, Acting in accordance with the procedure laid down in Article 251 of the Treaty ⁽³⁾, in the light of the joint text approved by the Conciliation Committee on 8 December 2005, Whereas:

1) The Communication of the Commission entitled ‘Safe operation of mining activities: a follow-up to recent mining accidents’ sets out as one of its priority actions an initiative to regulate the management of waste from the extractive industries. This action is designed to complement initiatives pursuant to Directive 2003/105/EC of the European Parliament and of the Council of 16 December 2003 amending Council Directive 96/82/EC on the control of major-accident hazards involving dangerous substances ⁽⁴⁾ as well as the production of a best available technique document covering the management of waste rock and tailings from mining activities under the auspices of Council Directive 96/61/EC of 24 September 1996 concerning integrated pollution prevention and control ⁽⁵⁾.

2) 2001 წლის 5 ივლისის რეზოლუციაში⁶, რომელიც ეხებოდა ამ კომუნიკაციას, ევროპარლამენტმა მტკიცედ დაუჭირა მხარი მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ დირექტივის საჭიროებას.

3) ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 22 ივლისის 1600/2002/EC გადაწყვეტილება, რომელმაც ჩამოაყალიბა ევროგაერთიანების გარემოს დაცვის მოქმედებათა მე-6 პროგრამა⁷, მიზნად ისახავს გამომუშავებული ნარჩენებიდან წარმოქმნილი ხიფათის ღონისა შემცირებას და რისკის მინიმუმამდე დაყვანას, განახლებისა და გადამუშავებისათვის პრიორიტეტების მინიჭებას, ნარჩენების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირებასა და მათ უსაფრთხოდ განთავსებას, და ნარჩენების მათსავე წყაროსთან შეძლებისდაგვარად ახლოს დამუშავებას მათი დამუშავების ოპერაციების ეფექტიანობის შემცირების გარეშე. 1600/2002/EC გადაწყვეტილება, ავარიებსა და კატასტროფებთან მიმართებით, პრიორიტეტულ ქმედებად, ასევე, განსაზღვრავს ზომების შემუშავებას დიდი ავარიების საფრთხეების პრევენციისათვის, განსაკუთრებით წიაღის მოპოვებისას, და სამთო ნარჩენებთან დაკავშირებული ზომების შემუშავებას. 1600/2002/EC გადაწყვეტილება პრიორიტეტად განსაზღვრავს მოპოვებითი მრეწველობის მდგრადი მართვის ხელშეწყობას გარემოზე მათი ზემოქმედების შესამცირებლად.

4) ევროგაერთიანების გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების შესაბამისად, აუცილებელია მინიმალური მოთხოვნების ჩამოყალიბება, რათა მოხდეს მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის უარყოფითი ზემოქმედების შეძლებისდაგვარად შემცირება ან პრევენცია გარემოზე ან ადამიანების ჯანმრთელობაზე. ამ ნარჩენებს განეკუთვნება: კუდები (მაგალითად, სხვადასხვაგვარი ტექნიკით სასარგებლო წიაღისეულის გამოცალკევების შემდეგ დარჩენილი ქანები ან შლამი), ფუჭი ქანები და ნაყარი (მასალა, რომლის მოცილებაც ხდება მადნის სხეულამდე მისაღწევად, მათ შორის წარმოების დაგეგმვის ეტაპზე) და მიწის ზედა ფენა. ყოველივე ეს განმარტებულია ნარჩენების შესახებ ევროპის საბჭოს 1975 წლის 15 ივლისის 75/442/EEC დირექტივაში⁸.

5) გაროს ფარგლებში 2002 წელს გამართულ მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე მიღებული იოჰანესბურგის მდგრადი განვითარების იმპლემენტაციის გეგმის 24-ე პუნქტის შესაბამისად, აუცილებელია ეკონომიკური და სოციალური განვითარების ბუნებრივი რესურსების ბაზის დაცვა და ბუნებრივი რესურსების დეგრადაციის არსებული ტენდენციის შეცვლა ბუნებრივი რესურსების ბაზის მდგრადი და ინტეგრირებული მართვის გზით.

6) შესაბამისად, ეს დირექტივა უნდა მოიცავდეს ნარჩენების მართვას მიწის ზედა ფენებიდან წიაღის მოპოვებითი მრეწველობიდან, ანუ იმ ნარჩენებისა, რომლებიც წარმოიქმნება მინერალური რესურსების ძიების, მოპოვების (მათ შორის, საწარმოო განვითარების წინა ეტაპზე), დამუშავებისა და შენახვის, და ასევე, კარიერების დამუშავების შედეგად. ამასთან, ასეთი მართვა უნდა ასახავდეს 75/442/EEC დირექტივით

2) In its Resolution ⁽⁶⁾ of 5 July 2001 concerning that Communication, the European Parliament strongly supported the need for a Directive on waste from the extractive industries.

3) Decision No 1600/2002/EC of the European Parliament and of the Council of 22 July 2002 laying down the Sixth Community Environment Action Programme ⁽⁷⁾ sets as the objective for wastes that are still generated that the level of their hazardousness should be reduced and that they should present as little risk as possible, that preference should be given to recovery and especially to recycling, that the quantity of waste for disposal should be minimised and should be safely disposed of, and that waste intended for disposal should be treated as closely as possible to the place of its generation to the extent that this does not lead to a decrease in the efficiency of waste treatment operations. Decision No 1600/2002/EC also prescribes as a priority action, with reference to accidents and disasters, the development of measures to help prevent major accident hazards, with special regard to those arising from mining, and the development of measures on mining waste. Decision No 1600/2002/EC also sets as a priority action the promotion of sustainable management of extractive industries with a view to reducing their environmental impact.

4) In accordance with the objectives of Community policy on the environment, it is necessary to lay down minimum requirements in order to prevent or reduce as far as possible any adverse effects on the environment or on human health which are brought about as a result of the management of waste from the extractive industries, such as tailings (i.e. the waste solids or slurries that remain after the treatment of minerals by a number of techniques), waste rock and overburden (i.e. the material that extractive operations move during the process of accessing an ore or mineral body, including during the pre-production development stage), and topsoil (i.e. the upper layer of the ground) provided that they constitute waste as defined in Council Directive 75/442/EEC of 15 July 1975 on waste ⁽⁸⁾.

5) In accordance with paragraph 24 of the Johannesburg Plan of Implementation on Sustainable Development adopted within the framework of the United Nations at the 2002 World Summit on Sustainable Development, it is necessary to protect the natural resource base of economic and social development and reverse the current trend in natural resource degradation by managing the natural resource base in a sustainable and integrated manner.

6) Accordingly, this Directive should cover the management of waste from land-based extractive industries, that is to say, the waste arising from the prospecting, extraction (including the pre-production development stage), treatment and storage of mineral resources and from the working of quarries. However, such management should reflect the principles and priorities identified in Directive 75/442/EEC, which, in accordance with

განსაზღვრულ პრინციპებსა და პრიორიტეტებს, რომლებიც, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კვლავ გამოიყენება მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ნებისმიერი ასპექტისთვის, რომელსაც არ მოიცავს ეს დირექტივა.

7) დუბლირებისა და არაპროპორციული ადმინისტრაციული მოთხოვნების თავიდან ასაცილებლად, ამ დირექტივის მოქმედება უნდა შემოიფარგლოს იმ კონკრეტული ოპერაციებით, რომლებიც მიიჩნევა პრიორიტეტულად მისი მიზნების შესრულებისთვის.

8) შესაბამისად, ამ დირექტივის დებულებები არ მიესადაგება ნარჩენების იმ ნაწილს, რომლებიც ჩნდება მინერალების მოპოვებისა და გადამუშავების ოპერაციების დროს, და არ არის პირდაპირ დაკავშირებული მოპოვების ან გადამუშავების პროცესთან. მაგალითად, საკვების ნარჩენები, ნარჩენი ზეთი, ჯართისთვის განკუთვნილი მანქანები, დაცლილი ელემენტები და აკუმულატორები. ასეთი ნარჩენების მართვა უნდა დარეგულირდეს ნაგავსაყრელების ნარჩენების შესახებ ევროპის საბჭოს 1999 წლის 26 აპრილის 1999/31/EC დირექტივით ან 75/442/EEC დირექტივის⁹ დებულებებით, ან ევროგაერთიანების რომელიმე სხვა შესაბამისი კანონმდებლობით, ისევე, როგორც ეს ხდება იმ ნარჩენების შემთხვევაში, რომლებიც ჩნდება მოპოვებითი საქმიანობისა და გადამუშავების ადგილებზე, და რომელთა გადაზიდვაც ხდება ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც ამ დირექტივის მიხედვით, არ ითვლება ნარჩენების ობიექტად.

9) აღნიშნული დირექტივა ასევე არ უნდა შეეხოს იმ ნარჩენებს, რომლებიც ეხება კონტინენტურ შელფზე მინერალური რესურსების დაძიებას, მოპოვებასა და გადამუშავებას, ან წყლის ჩატუმბვას, ან ამოტუმბული მიწისქვეშა წყლის ხელმეორედ შეშვებას; ინერტული ნარჩენები, არასახიფათო დაძიების ნარჩენები, დაუბინძურებელი ნიადაგი და მოპოვების, გადამუშავებისა და ტორფის შენახვის შედეგად მიღებული ნარჩენები, გარემოსათვის დაბალი რისკიანობის გამო, მოთხოვნების მცირე რაოდენობას უნდა აკმაყოფილებდეს. არასახიფათო არაინერტული ნარჩენებისათვის ევროკავშირის წევრებს შეუძლიათ კონკრეტული მოთხოვნების შემცირება ან საერთოდ გაუქმება. თუმცა, ეს გამონაკლისები არ უნდა შეეხოს A კატეგორიის ნარჩენების ობიექტებს.

10) მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დირექტივა მოიცავს მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვას, რომლებიც შეიძლება იყოს რადიოაქტიური, აღნიშნული დირექტივა არ უნდა ფარავდეს ისეთ ასპექტებს, რომლებიც სპეციფიკურია რადიოაქტიუობისთვის, რაც ექვევა ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების (Euratom) შექმნის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების სფეროში.

11) იმისათვის, რომ წევრმა სახელმწიფოებმა დაიცვან 75/442/EEC დირექტივით, კერძოდ, მისი მე-3 და მე-4 მუხლებით დადგენილი პრინციპები და პრიორიტეტები, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ მოპოვებითი მრეწველობაში მომუშავე პირებმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა თავიდან აიცილონ ან შეძლებისდაგვარად შეამცირონ არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება გარემოსა ან ადამიანის ჯანმრთელობაზე, რომელიც

Article 2(1)(b)(ii) thereof, continues to apply to any aspects of the management of waste from the extractive industries which are not covered by this Directive.

7) In order to avoid duplication and disproportionate administrative requirements, the scope of this Directive should be limited to those particular operations considered to be a priority for the purposes of meeting its objectives.

8) Accordingly, the provisions of this Directive should not apply to those waste streams which, albeit generated in the course of mineral extraction or treatment operations, are not directly linked to the extraction or treatment process, e.g. food waste, waste oil, end-of-life vehicles, spent batteries and accumulators. The management of such waste should be subject to the provisions of Directive 75/442/EEC or of Council Directive 1999/31/EC of 26 April 1999 on the landfill of waste.⁽⁹⁾ or any other relevant Community legislation, as is the case for waste generated at a prospecting, extraction or treatment site and transported to a location that is not a waste facility according to this Directive.

9) Nor should this Directive apply to waste resulting from the offshore prospecting, extraction and treatment of mineral resources or to the injection of water and re-injection of pumped groundwater, while inert waste, non-hazardous prospecting waste, unpolluted soil and waste resulting from the extraction, treatment and storage of peat should be covered only by a limited set of requirements due to their lower environmental risks. For non-hazardous non-inert waste, Member States may reduce or waive certain requirements. However, these exemptions should not apply to Category A waste facilities.

10) Moreover, while covering the management of waste from the extractive industries which may be radioactive, this Directive should not cover such aspects as are specific to radioactivity, which are a matter dealt with under the Treaty establishing the European Atomic Energy Community (Euratom).

11) In order to remain true to the principles and priorities identified in Directive 75/442/EEC and, in particular, Articles 3 and 4 thereof, Member States should ensure that operators engaged in the extractive industry take all necessary measures to prevent or reduce as far as possible any negative effects, actual or potential, on the environment or on human health which are

წარმოქმნება მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შედეგად.

12) ეს ზომები უნდა ემყარებოდეს, *inter alia*, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის კონცეფციას, როგორც ეს განსაზღვრულია 96/61/EC დირექტივაში და, ამგვარი ტექნოლოგიის გამოყენების შემთხვევაში, წევრმა ქვეყნებმა უნდა დაადგინონ, თუ როგორ უნდა მოხდეს ნარჩენების ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ადგილობრივი გარემო პირობების გათვალისწინება, საჭიროებიდან გამომდინარე.

13) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოპოვებითი მრეწველობაში მომუშავე პირებმა შეადგინონ ნარჩენების მართვის შესაბამისი გეგმები მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების პრევენციის ან შემცირების, დამუშავების, აღდგენისა და განთავსებისათვის. ეს გეგმები სტრუქტურირებული უნდა იყოს ისე, რომ მოხდეს ნარჩენების მართვის შესაბამისი დაგეგმვა, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ნარჩენების წარმოქმნა და მისი საფრთხის ხარისხი, მოხდეს ნარჩენების აღდგენა. მეტიც, მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენები უნდა დახასიათდეს მათი შემადგენლობის შესაბამისად, რათა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილ იქნეს ნარჩენების შესაძლო ზემოქმედების განჭვრეტადობა.

14) ავარიების რისკის შემცირებისა და ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს მაღალ დონეზე დაცვის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ A კატეგორიის ნარჩენების ობიექტის თითოეულმა ოპერატორმა მიიღოს და გამოიყენოს დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკა. პრევენციული ზომების თვალსაზრისით, აღნიშნული უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების მართვის სისტემის არსებობას, საგანგებო გეგმების გამოყენებას ავარიების დროს და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას იმ პირებში, რომლებიც შეიძლება ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდნენ დიდი ავარიის შედეგად. ავარიის დროს, ოპერატორებმა კომპეტენტურ ორგანოებს უნდა მიაწოდონ ყველა შესაბამისი ინფორმაცია, რაც საჭიროა გარემოსთვის მიყენებული თუ პოტენციური ზიანის შესამცირებლად. ეს განსაკუთრებული მოთხოვნები არ უნდა გავრცელდეს მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების იმ ობიექტებზე, რომლებიც ექვევა 96/82/EC დირექტივის ფარგლებში.

15) ნარჩენების ობიექტი არ უნდა კლასიფიცირდეს A კატეგორიაში მხოლოდ მოპოვებითი მრეწველობაში დასაქმებული პირების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისთვის არსებული რისკების საფუძველზე, რომლებიც გათვალისწინებულია ევროგაერთიანების სხვა კანონმდებლობით, კერძოდ, 92/91/EEC¹⁰ და 92/104/EEC¹¹ დირექტივებით.

16) მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის განსაკუთრებული ხასიათის გამო, საჭიროა სპეციალური გამოყენების და ნებართვების პროცედურების შემოღება ნარჩენების იმ ობიექტებთან მიმართებით, რომლებიც იღებდნენ ასეთ ნარჩენებს. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა კომპეტენტურმა ორგანოებმა

brought about as a result of the management of waste from the extractive industries.

12) These measures should be based, *inter alia*, on the concept of best available techniques as defined in Directive 96/61/EC and, when such techniques are applied, it is for the Member States to determine how the technical characteristics of the waste facility, its geographical location and local environmental conditions can, where appropriate, be taken into consideration.

13) Member States should ensure that operators in the extractive industry draw up appropriate waste management plans for the prevention or minimisation, treatment, recovery and disposal of extractive waste. Such plans should be structured in such a way as to ensure appropriate planning of waste management options with a view to minimising waste generation and its harmfulness, and encouraging waste recovery. Moreover, waste from the extractive industries should be characterised with respect to its composition in order to ensure that, as far as possible, such waste reacts only in predictable ways.

14) In order to minimise the risk of accidents and to guarantee a high level of protection for the environment and human health, Member States should ensure that each operator of a Category A waste facility adopts and applies a major-accident prevention policy for waste. In terms of preventive measures, this should entail the delivery of a safety management system, emergency plans to be used in the event of accidents and the dissemination of safety information to persons likely to be affected by a major accident. In the event of an accident, operators should be required to provide the competent authorities with all the relevant information necessary to mitigate actual or potential environmental damage. These particular requirements should not apply to those waste facilities from the extractive industries falling within the scope of Directive 96/82/EC.

15) A waste facility should not be classified in Category A solely on the basis of risks to the safety and health protection of workers in the extractive industries covered by other Community legislation, in particular Directives 92/91/EEC⁽¹⁰⁾ and 92/104/EEC⁽¹¹⁾.

16) Because of the special nature of the management of waste from the extractive industries, it is necessary to introduce specific application and permit procedures in respect of waste facilities used to receive such waste. In addition, Member States should take the necessary measures to ensure that the

პერიოდულად ხელახლა განიხილონ და, საჭიროების შემთხვევაში, განაახლონ ნებართვის პირობები.

17) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ UNECE კონვენციის (ორჰუსის კონვენციის) შესაბამისად, საზოგადოება იყოს ინფორმირებული ნარჩენების მართვის ნებართვის მოპოვების შესახებ განაცხადის თაობაზე და დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაცია ხდებოდეს ნარჩენების მართვის შესახებ ნებართვის გაცემამდე.

18) აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს მოთხოვნები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ობიექტი, სადაც მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენი უნდა განთავსდეს. აღნიშნული მოთხოვნები უკავშირდება მდებარეობას, მართვას, კონტროლს, დახურვის და პრევენციულ, დამცავ ზომებს, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში გარემოსთვის არსებული ნებისმიერი საფრთხისგან, განსაკუთრებით კი, ნიადაგში ნაჟური წყლის მოხვედრის შედეგად მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისგან დასაცავად.

19) აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს A კატეგორიის ნარჩენების ობიექტები, რომლებიც გამოიყენება მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მომსახურებისთვის. ამ მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნეს სავარაუდო შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ასეთი ობიექტის მუშაობით გამოწვეულ ნებისმიერ დაბინძურებას, ან ავარიას, რის შედეგადაც ხდება ნარჩენების გაღწევა ასეთი ობიექტიდან.

20) მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების ხელახალი განთავსება გათხრების შედეგად წარმოქმნილ სივრცეებში, მათი რეაბილიტაციის ან მადნის მოპოვების პროცესთან დაკავშირებული სამშენებლო მიზნებისათვის, როგორცაა ამ სივრცეებში ტექნიკის ხელმისაწვდომობის საშუალებების, სატვირთო პანდუსების, ტიხრების, დამცავი ბარიერების ან ბერმების მშენებლობა ან შეკეთება, ექვემდებარება გარკვეულ მოთხოვნებს რათა დაცული იყოს ზედაპირული ან/და მიწისქვეშა წყლები, უზრუნველყოფილი იყოს ასეთი ნარჩენების სტაბილურობა და შესაბამისი მონიტორინგი ამგვარი საქმიანობის შეწყვეტისთანავე. შესაბამისად, ამგვარი ნარჩენების მიმართ არ უნდა ვრცელდებოდეს აღნიშნული დირექტივის ის მოთხოვნები, რომლებიც ექსკლუზიურად „ნარჩენების ობიექტებს“ ეხება, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც აღნიშნულია სპეციალურ დებულებაში გათხრების შედეგად დარჩენილი სივრცეების თაობაზე.

21) მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მომსახურებასთან დაკავშირებული ნარჩენების ობიექტების სათანადო მშენებლობისა და ტექნიკური მომსახურების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ ასეთი ობიექტების დაგეგმვა, ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მართვა ხორციელდებოდეს

competent authorities periodically reconsider and, where necessary, update permit conditions.

17) Member States should be required to ensure that, in accordance with the UNECE Convention on Access to Information, Public Participation in Decision-making and Access to Justice in Environmental Matters of 25 June 1998 (Aarhus Convention), the public are informed of the application for a waste management permit and the public concerned are consulted prior to the granting of a waste management permit.

18) It is necessary to indicate clearly the requirements with which waste facilities servicing the extractive industries should comply as regards location, management, control, closure and preventive and protective measures to be taken against any threat to the environment in the short and long-term perspectives, and more especially against the pollution of groundwater by leachate infiltration into the soil.

19) It is necessary to define clearly Category A waste facilities used to service waste from the extractive industries, taking into account the likely effects of any pollution resulting from the operation of such a facility or from an accident in which waste escapes from such a facility.

20) Waste placed back into the excavation voids either for their rehabilitation or for construction purposes related to the mineral extraction process, such as the building or maintenance within voids of means of access for machinery, haulage ramps, bulkheads, safety barricades or berms, needs also to be subject to certain requirements in order to protect surface water and/or groundwater, secure the stability of such waste, and ensure appropriate monitoring upon cessation of such activities. Accordingly, such waste should not be subject to the requirements of this Directive which relate exclusively to 'waste facilities', except for the requirements mentioned in the specific provision on excavation voids.

21) With a view to ensuring the proper construction and maintenance of waste facilities servicing waste from the extractive industries, Member States should take appropriate measures to ensure that the design, location and management of such facilities is carried out by technically competent persons. It is necessary to ensure that the training and knowledge

ტექნიკური კომპეტენციის მქონე პირების მიერ. აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ოპერატორებისა და პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგი და მიღებული ცოდნა დაეხმაროს მათ საჭირო უნარ-ჩვევების ქონაში. ამასთან, კომპეტენტური ორგანოები უნდა დარწმუნდნენ, რომ ოპერატორები იღებენ სათანადო ზომებს ნარჩენების ახალი ობიექტის მშენებლობისა და ტექნიკური უზრუნველყოფისას, ან არსებული ობიექტის გაფართოების ან შეცვლისას, და ობიექტის დახურვის შემდგომ ეტაპზეც.

22) აუცილებელია განისაზღვროს ნარჩენების ობიექტების ექსპლუატაციისას და მისი დახურვის შემდეგ გამოსაყენებელი მონიტორინგის პროცედურები. A კატეგორიის ნარჩენების ობიექტების მონიტორინგისა და კონტროლისთვის განკუთვნილი დახურვის შემდგომი პერიოდი უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური ნარჩენების ობიექტის მიერ წარმოქმნილი რისკის პროპორციულად, ისე, როგორც ამას მოითხოვს 1999/31/EC დირექტივა.

23) აუცილებელია განისაზღვროს, როდის და როგორ უნდა დაიხუროს მოპოვებითი მრეწველობის მომსახურე ნარჩენების ობიექტი, ასევე, განისაზღვროს ოპერატორის პასუხისმგებლობა და ვალდებულება დახურვის შემდგომ პერიოდში.

24) ევროკავშირის წევრებმა, მოპოვებითი მრეწველობის ობიექტებს უნდა წაუყენონ მონიტორინგისა და მართვის საკონტროლო მოთხოვნები, რათა თავიდან აიცილონ წყლისა და მიწის დაბინძურება, და გამოავლინონ ნარჩენების ობიექტების ნებისმიერი შესაძლო უარყოფითი გავლენა გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე. ამასთან, წყლის დაბინძურების შესამცირებლად, ნარჩენების ჩაშვება წყლის მიმღებ ნებისმიერ ობიექტში უნდა შეესაბამებოდეს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 23 ოქტომბრის 2000/60/EC დირექტივას¹², რომელიც ადგენს წყლის პოლიტიკის სფეროში ევროგაერთიანების სამოქმედო ჩარჩოს. ზოგიერთი წიაღის მომპოვებელი საწარმოს მუშაობის შედეგად, კულსაცავებში ციანიდისა და ციანიდის ნაერთების კონცენტრაცია, მათი სახიფათო და მომწამვლელი ზეგავლენის გამო, მაქსიმალურად უნდა შემცირდეს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გამოყენებით. ასეთი უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, ამ დირექტივის სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად, საჭიროა მაქსიმალური კონცენტრაციის ზღვრის დადგენა ყველა შემთხვევაში.

25) მოპოვებითი მრეწველობის მომსახურე ნარჩენების ობიექტის ოპერატორმა, წევრი სახელმწიფოების პროცედურების შესაბამისად, უნდა დადოს ფინანსური გარანტია ან მსგავსი დოკუმენტი, რითაც იკისრებს საქმიანობის ნებართვის ყველა ვალდებულების შესრულებას, ნარჩენების ობიექტის დახურვისა და დახურვის შემდგომ პროცედურებთან დაკავშირებული ვალდებულებების ჩათვლით. ფინანსური გარანტია უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ დაფაროს ნარჩენების ობიექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მიწის აღდგენის საფასური, რომელიც მოიცავს თავად ნარჩენების ობიექტს, როგორც ეს განსაზღვრულია ნარჩენების მართვის მე-5 დებულებაში მითითებულ გეგმასა და მე-7 დებულებით გათვალისწინებულ ნებართვაში, და დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისად კვალიფიცირებული და დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ. ეს

acquired by operators and staff afford them the necessary skills. In addition, competent authorities should satisfy themselves that operators ensure suitable arrangements with respect to the construction and maintenance of a new waste facility or to any extension or modification of an existing waste facility, including in the after-closure phase.

22) It is necessary to establish monitoring procedures during the operation and after-closure of waste facilities. An after-closure period for monitoring and control of Category A waste facilities should be laid down proportionate to the risk posed by the individual waste facility, in a way similar to that required by Directive 1999/31/EC.

23) It is necessary to define when and how a waste facility servicing the extractive industries should be closed and to set out the obligations and responsibilities to be met by the operator during the after-closure period.

24) Member States should require operators of the extractive industries to apply monitoring and management controls in order to prevent water and soil pollution and to identify any adverse effect that their waste facilities may have on the environment or on human health. In addition, for the purposes of minimising water pollution, the discharge of waste into any receiving body of water should comply with Directive 2000/60/EC of the European Parliament and of the Council of 23 October 2000 establishing a framework for Community action in the field of water policy⁽¹²⁾. Furthermore, concentrations in tailings ponds of cyanide and cyanide compounds from certain extractive industries should, in view of their harmful and toxic effects, be reduced to the lowest possible levels, using best available techniques. Maximum concentration thresholds should be set accordingly and, in any case, in line with the specific requirements of this Directive to prevent such effects.

25) The operator of a waste facility servicing the extractive industries should be required to lodge a financial guarantee or equivalent in accordance with procedures to be decided by the Member States ensuring that all the obligations flowing from the permit will be fulfilled, including those relating to the closure and after-closure of the waste facility. The financial guarantee should be sufficient to cover the cost of rehabilitation of the land affected by the waste facility, which includes the waste facility itself, as described in the waste management plan prepared pursuant to Article 5 and required by the Article 7 permit, by a suitably qualified and independent third party. It is also necessary for such a guarantee to be provided prior to the commencement of deposition operations in the waste facility and to be periodically adjusted. In addition, in accordance with

გარანტია უნდა გაიცეს ობიექტზე ნარჩენების მიტანამდე, და პერიოდულად უნდა გადაიხედოს. ამასთან, 'დამაბინძურებელი ინდის' პრინციპით, და გარემოს დაცვის უზრუნველყოფისა და ანაზღაურების ვალდებულების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის 2004/35/EC დირექტივის შესაბამისად¹³, გარანტიაში ხაზი უნდა გაესვას, რომ მოპოვებით მრეწველობის მომსახურე ნარჩენების ობიექტის ოპერატორი იღებს შესაბამის პასუხისმგებლობას მისი ქმედებების შედეგად გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე ან ასეთი ზიანის საფრთხეზე.

26) მოპოვებით მრეწველობის მომსახურე ნარჩენების ობიექტების ექსპლუატაციის შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვან უარყოფით ტრანსსასაზღვრო ზეგავლენას ახდენენ გარემოზე და საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას სხვა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, უნდა არსებობდეს ერთიანი პროცედურა მეზობელ ქვეყნებს შორის კონსულტაციებისათვის. ეს საჭიროა იმისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ინფორმაციის ადეკვატური გაცვლა სახელმწიფო ორგანოებს შორის და საზოგადოება იყოს სათანადოდ ინფორმირებული ნარჩენების ისეთი ობიექტების შესახებ, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ სხვა წევრი ქვეყნის გარემოზე.

27) აუცილებელია წევრმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ კომპეტენტური ორგანოების მიერ ინსპექტირების ეფექტიანი სისტემის ან კონტროლის ტოლფასი ზომების შემოღება ნარჩენების იმ ობიექტებთან დაკავშირებით, რომლებიც ემსახურებიან მოპოვებით მრეწველობის ობიექტებს. ნებართვის მფლობელი ოპერატორის ვალდებულებების შეუზღუდავად, განთავსების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად დაცულია სანებართვო პირობები. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ოპერატორებმა და მათმა შემცვლელებმა აწარმოონ მუდმივად განახლებული ჩანაწერები ამგვარი ნარჩენების ობიექტების შესახებ და ოპერატორებმა თავიანთ შემცვლელებს გადასცენ ინფორმაცია ნარჩენების ობიექტის მდგომარეობისა და მისი მუშაობის შესახებ.

28) წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა გაუგზავნონ კომისიას ანგარიშები ამ დირექტივის შესრულების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია ავარიების ან სახიფათო სიტუაციების თაობაზე. ამ ინფორმაციის საფუძველზე, კომისია ანგარიშს წარუდგენს ევროპარლამენტსა და საბჭოს.

29) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ამ დირექტივის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრების წესი და უზრუნველყონ მისი აღსრულება. ჯარიმები უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი.

30) აუცილებელია წევრმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული ნარჩენების დახურული, მათ შორის, მიტოვებული, ობიექტების ინვენტარიზაცია, რათა დადგინდეს ის გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენენ გარემოზე ან აქვთ საშუალო ან მოკლევადიან პერსპექტივაში ადამიანის ჯანმრთელობისა ან გარემოსთვის სერიოზულ საფრთხედ ქცევის პოტენციალი. აღნიშნულმა ინვენტარიზაციამ უნდა შექმნას საფუძველი

the polluter pays principle and with Directive 2004/35/EC of the European Parliament and of the Council of 21 April 2004 on environmental liability with regard to the prevention and remedying of environmental damage⁽¹³⁾, it is important to clarify that an operator of a waste facility servicing the extractive industries is subject to appropriate liability in respect of environmental damage caused by its operations or the imminent threat of such damage.

26) In the case of the operation of waste facilities servicing the extractive industries that are likely to have significant adverse transboundary effects on the environment and any resultant risks to human health, in the territory of another Member State, there should be a common procedure in place to facilitate consultation among neighbouring countries. This should be done with a view to ensuring that there is an adequate exchange of information between authorities and that the public are duly informed of any such waste facilities that could have adverse effects for the environment of that other Member State.

27) It is necessary for Member States to ensure that competent authorities organise an effective system of inspections or equivalent control measures in respect of waste facilities servicing the extractive industries. Without prejudice to the obligations of the operator under the permit, prior to the commencement of deposition operations there should be an inspection to check that the permit conditions have been complied with. In addition, Member States should ensure that operators and their successors maintain up-to-date records relating to such waste facilities and that operators transfer to their successors information concerning the state of the waste facility and its operations.

28) Member States should send regular reports to the Commission on the implementation of this Directive, including information on accidents or near-accidents. On the basis of those reports, the Commission should report to the European Parliament and the Council.

29) Member States should lay down rules on penalties for infringement of this Directive and ensure that they are implemented. Those penalties should be effective, proportionate and dissuasive.

30) It is necessary for Member States to ensure that an inventory of closed, including abandoned, waste facilities located on their territory is drawn up in order to identify those which cause serious negative environmental impacts or have the potential of becoming in the medium or short term a serious threat to human health or the environment. These inventories should provide a basis for an appropriate programme of measures.

გასატარებელი ღონისძიებების შესაბამისი პროგრამისთვის.

31) კომისიამ უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის სათანადო გაცვლა, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ნარჩენების დახურული ობიექტების ინვენტარიზაცია წევრი სახელმწიფოების დონეზე, ასევე, თუ როგორ უნდა მოხდეს მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც დაეხმარება წევრ სახელმწიფოებს, დაიცვან აღნიშნული დირექტივა ნარჩენების დახურული ობიექტების რეაბილიტაციისას. მეტიც, წევრ სახელმწიფოებში და ამ სახელმწიფოებს შორის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფორმაციის გაცვლა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის თაობაზე.

32) ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანმიმდევრული გამოყენების გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი მოთხოვნები ინტეგრირებული უნდა იყოს ევროგაერთიანების მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკებისა და ქმედებების განხორციელებაში.

33) აღნიშნული დირექტივა შეიძლება იყოს გასათვალისწინებლად სასარგებლო ინსტრუმენტი იმის გადასამოწმებლად, თუ რამდენად მოიცავს საჭირო ზომებს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შეძლებისდაგვარად შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად განვითარების მიზნით ევროგაერთიანების დაფინანსების მიმღები პროექტები. ასეთი მიდგომა შეესაბამება ხელშეკრულების მე-6 მუხლს, განსაკუთრებით, გარემოს დაცვის მოთხოვნების ინტეგრირებას ევროგაერთიანების პოლიტიკაში, კერძოდ, განვითარებისათვის თანამშრომლობის სფეროში.

34) აღნიშნული დირექტივის მიზანი, რომელიც მდგომარეობს მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გაუმჯობესებაში, საკმარისად ვერ მიიღწევა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების მიერ; რადგან ამგვარი ნარჩენების არასწორმა მართვამ შეიძლება ტრანსსასაზღვრო ხასიათის დაბინძურება გამოიწვიოს. 'დამაბინძურებელი იხდის' პრინციპის მიხედვით, საჭიროა, *inter alia*, მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენებით გარემოსთვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის გათვალისწინება, ხოლო ამ პრინციპის ეროვნულ დონეზე სხვადასხვაგვარმა გამოყენებამ ეკონომიკის სფეროში ჩართულ ოპერატორებს შესაძლოა დააკისროს არსებითად განსხვავებული ფინანსური ტვირთი. მეტიც, მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის სხვადასხვა ეროვნული პოლიტიკის არსებობა ხელს უშლის ნარჩენების უსაფრთხოდ და პასუხისმგებლობით მართვის მინიმალური ღონის უზრუნველყოფას, ასევე, მისი ადდგენის გაზრდას მთელ ევროგაერთიანებაში. ამრიგად, ვინაიდან ამ დირექტივის მასშტაბისა და ეფექტის გამო მისი მიზანი შეიძლება უკეთესად იქნეს მიღწეული ევროგაერთიანების დონეზე, ევროგაერთიანებას შეუძლია მიიღოს ზომები სუბსიდირების პრინციპის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია შეთანხმების მე-5 მუხლში. ამ მუხლში მოცემული პროპორციულობის პრინციპის თანახმად, აღნიშნული დირექტივა არ სცდება იმ ჩარჩოს, რაც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

31) The Commission should ensure an appropriate exchange of scientific and technical information on how to carry out an inventory of closed waste facilities at Member State level and on the development of methodologies to assist Member States in complying with this Directive when rehabilitating closed waste facilities. Moreover, an exchange of information should be ensured within and between Member States on the best available techniques.

32) With a view to the consistent application of Article 6 of the Treaty, environmental protection requirements must be integrated into the implementation of Community policies and activities with a view to promoting sustainable development.

33) This Directive could be a useful instrument to be taken into account when verifying that projects receiving Community funding in the context of development aid include the necessary measures to prevent or reduce as far as possible negative effects on the environment. Such an approach is consistent with Article 6 of the Treaty, particularly with regard to integrating environmental protection requirements into the Community's policy in the sphere of development cooperation.

34) The objective of this Directive, that is to say, improving the management of waste from the extractive industries, cannot be sufficiently achieved by the Member States acting alone because the mismanagement of such waste may cause pollution of a transboundary nature. Under the polluter pays principle it is necessary, *inter alia*, to take into account any damage to the environment caused by waste from the extractive industries, and different national applications of that principle may lead to substantial disparities in the financial burden on economic operators. Moreover, the existence of different national policies on the management of waste from the extractive industries hampers the aim of ensuring a minimum level of safe and responsible management of such waste and maximising its recovery throughout the Community. Therefore, since by reason of the scale and effects of this Directive, its objective can be better achieved at Community level, the Community may adopt measures, in accordance with the principle of subsidiarity, as set out in Article 5 of the Treaty. In accordance with the principle of proportionality, as set out in that Article, this Directive does not go beyond what is necessary in order to achieve this objective.

35) აღნიშნული დირექტივის განსახორციელებლად საჭირო ზომები მიღებულ უნდა იქნეს საბჭოს 1999 წლის 28 ივნისის 1999/468/EC გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს იმ სააღსრულებო უფლებამოსილების განხორციელების პროცედურებს, რომლებიც აქვს კომისიას¹⁴.

36) აღნიშნული დირექტივის ტრანსპოზიციის დროს, უნდა დარეგულირდეს არსებული ნარჩენების ობიექტების ექსპლუატაცია, რათა, განსაზღვრული ვადის განმავლობაში, მიღებულ იქნეს აუცილებელი ზომები მოცემული დირექტივის მოთხოვნებთან მათი ადაპტაციისთვის.

37) კანონმდებლობის უკეთ შემუშავების შესახებ ინსტიტუციონალური მეთანხმების 34-ე პუნქტის შესაბამისად¹⁵, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეადგინონ საკუთარი და საზოგადოების ინტერესების შესაბამისი ცხრილები, რომლებიც შეძლებისდაგვარად მოახდენს ამ დირექტივასა და ტრანსპოზიციის ზომებს შორის არსებული ურთიერთკავშირის ილუსტრირებას, და უზრუნველყონ მათი საჯაროობა.

მიიღეს აღნიშნული დირექტივა:

**მუხლი 1
განხილვის საგანი**

აღნიშნული დირექტივა ითვალისწინებს ზომებს, პროცედურებსა და მითითებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების შედეგების დაგვარად შემცირებას ან პრევენციას გარემოზე, კერძოდ, წყალზე, ჰაერზე, ნიადაგზე, ლანდშაფტზე, ფლორასა და ფაუნაზე, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაც გამოწვეულია მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შედეგად.

**მუხლი 2
მოქმედების სფერო**

1. მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, აღნიშნული დირექტივა მოიცავს ნარჩენების მართვას, რომლებიც წარმოიქმნება მინერალური რესურსების ძიების, მოპოვების, დამუშავებისა და შენახვის, ასევე, კარიერების დამუშავების შედეგად, შემდგომში „მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენები“.
2. აღნიშნული დირექტივის მოქმედების სფერო არ ვრცელდება:
 - ა) ნარჩენებზე, რომლებიც წარმოიქმნება მინერალური რესურსების ძიების, მოპოვებისა და დამუშავების, ასევე, კარიერების დამუშავების შედეგად, მაგრამ არ წარმოადგენს ასეთი ოპერაციების პირდაპირ შედეგს;
 - ბ) ნარჩენებზე, რომლებიც წარმოიქმნება მინერალური რესურსების ზღვაში ძიების, მოპოვებისა და დამუშავების შედეგად;
 - გ) წყლის ჩატუმბვასა და ამოქაჩული გრუნტის წყლის ხელახალ ჩაშვებაზე, როგორც ეს განსაზღვრულია 2000/60/EC დირექტივის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტის პირველი და მეორე აბზაცით, ამ მუხლით ნებადართულ ფარგლებში.
3. ინერტული ნარჩენები და დაუბინძურებელი ნიადაგი, რაც წარმოიქმნება მინერალური რესურსების ძიების, მოპოვების, დამუშავებისა და შენახვის, ასევე, კარიერების დამუშავების შედეგად, და ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ტორფის

35) The measures necessary for the implementation of this Directive should be adopted in accordance with Council Decision 1999/468/EC of 28 June 1999 laying down the procedures for the exercise of implementing powers conferred on the Commission ⁽¹⁴⁾.

36) The operation of waste facilities existing at the moment of transposition of this Directive should be regulated in order to take the necessary measures, within a specified period of time, for their adaptation to the requirements of this Directive.

37) In accordance with paragraph 34 of the Interinstitutional agreement on better law-making ⁽¹⁵⁾, Member States are encouraged to draw up, for themselves and in the interest of the Community, their own tables, which will, as far as possible, illustrate the correlation between this Directive and the transposition measures and to make them public,

HAVE ADOPTED THIS DIRECTIVE:

**Article 1
Subject matter**

This Directive provides for measures, procedures and guidance to prevent or reduce as far as possible any adverse effects on the environment, in particular water, air, soil, fauna and flora and landscape, and any resultant risks to human health, brought about as a result of the management of waste from the extractive industries.

**Article 2
Scope**

1. Subject to paragraphs 2 and 3, this Directive covers the management of waste resulting from the prospecting, extraction, treatment and storage of mineral resources and the working of quarries, hereinafter ‘extractive waste’.
2. The following shall be excluded from the scope of this Directive:
 - a) waste which is generated by the prospecting, extraction and treatment of mineral resources and the working of quarries, but which does not directly result from those operations;
 - b) waste resulting from the offshore prospecting, extraction and treatment of mineral resources;
 - c) injection of water and re-injection of pumped groundwater as defined in the first and second indents of Article 11(3)(j) of Directive 2000/60/EC, to the extent authorised by that Article.
3. Inert waste and unpolluted soil resulting from the prospecting, extraction, treatment and storage of mineral resources and the working of quarries and waste resulting from the extraction, treatment and storage of peat shall not be subject

მოპოვების, დამუშავებისა და შენახვის შედეგად, არ ექვევა მე-7 და მე-8 მუხლების, მე-11 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის, მე-12 მუხლის, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-14 და მე-16 მუხლების მოქმედების სფეროში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი განთავსებულია A კატეგორიის ნარჩენების ობიექტში.

კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია, შეამციროს ან უარი თქვას იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ეხება მინერალური რესურსების ძიების შედეგად წარმოქმნილი არასახიფათო ნარჩენების განთავსებას, ნავთობისა და ევაპორიტის გარდა, თაბაშირის და ანჰიდრიტის გამოკლებით, აგრეთვე დაუბინძურებელი ნიადაგისა და ნარჩენების განთავსებას, რომლებიც წარმოიქმნება ტორფის მოპოვების, დამუშავებისა და შენახვის შედეგად, მე-4 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეამცირონ ან უარი თქვან მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-14 და მე-16 მუხლების მოთხოვნებზე არასახიფათო არაინერტული ნარჩენების მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი განთავსებულია A კატეგორიის ნარჩენების ობიექტში.

4. ევროგაერთიანების სხვა კანონმდებლობის შეუზღუდავად, ნარჩენები, რომლებიც ექვევა ამ დირექტივის მოქმედების სფეროში, არ ექვემდებარება 1999/31/EC დირექტივას.

**მუხლი 3
განმარტებები**

აღნიშნული დირექტივის მიზნებისთვის:

- 1) ნარჩენები – განმარტებულია 75/442/EEC დირექტივის პირველი მუხლის „ა“ პუნქტში;
- 2) სახიფათო ნარჩენები – განმარტებულია სახიფათო ნარჩენების შესახებ საბჭოს 1991 წლის 12 დეკემბრის 91/689/EEC დირექტივის პირველი მუხლის მე-4 პუნქტში¹⁶;
- 3) ინერტული ნარჩენები – ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს. ინერტული ნარჩენები არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ ხდება მისი ბიოდეგრადირება და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას. ნარჩენების გამოტუტვის უნარი და დამაბინძურებელი შემცველობა, ასევე, ნაჟურის ეკოტოქსიურობა უნდა იყოს უმნიშვნელო, და, განსაკუთრებით, საფრთხე არ უნდა შეუქმნას ზედაპირული ან/და მიწისქვეშა წყლების ხარისხს;
- 4) დაუბინძურებელი ნიადაგი – ნიადაგი, რომელიც მოხსნილია მიწის ზედა ფენიდან მოპოვებითი საქმიანობის დროს და რომელიც არ მიიჩნევა დაბინძურებულად ევროგაერთიანების კანონის ან იმ წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც მდებარეობს მიწის ნაკვეთი;
- 5) მინერალური რესურსი ან მინერალი – დედამიწის ქერქში ისეთი ორგანული ან არაორგანული ნივთიერების ბუნებრივი წარმოშობა, როგორცაა წიაღისეული საწვავი, ლითონის

to Articles 7, 8, 11(1) and (3), 12, 13(6), 14 and 16, unless deposited in a Category A waste facility.

The competent authority may reduce or waive the requirements for the deposit of non-hazardous waste generated from the prospecting of mineral resources, except oil and evaporites other than gypsum and anhydrite, as well as for the deposit of unpolluted soil and of waste resulting from the extraction, treatment and storage of peat as long as it is satisfied that the requirements of Article 4 are met.

Member States may reduce or waive the requirements of Articles 11(3), 12(5) and (6), 13(6), 14 and 16 for non-hazardous non-inert waste, unless deposited in a Category A waste facility.

4. Without prejudice to other Community legislation, waste which falls within the scope of this Directive shall not be subject to Directive 1999/31/EC.

**Article 3
Definitions**

For the purposes of this Directive:

- 1) ‘waste’ is as defined in Article 1(a) of Directive 75/442/EEC;
- 2) ‘hazardous waste’ is as defined in Article 1(4) of Council Directive 91/689/EEC of 12 December 1991 on hazardous waste ⁽¹⁶⁾;
- 3) ‘inert waste’ means waste that does not undergo any significant physical, chemical or biological transformations. Inert waste will not dissolve, burn or otherwise physically or chemically react, biodegrade or adversely affect other matter with which it comes into contact in a way likely to give rise to environmental pollution or harm human health. The total leachability and pollutant content of the waste and the ecotoxicity of the leachate must be insignificant, and in particular not endanger the quality of surface water and/or groundwater;
- 4) ‘unpolluted soil’ means soil that is removed from the upper layer of the ground during extractive activities and that is not deemed to be polluted under the national law of the Member State where the site is located or under Community law;
- 5) ‘mineral resource’ or ‘mineral’ means a naturally occurring deposit in the earth's crust of an organic or inorganic substance,

მადნები, სამრეწველო და სამშენებლო მინერალები, გარდა წყლისა;

6) მოპოვებითი მრეწველობა – ყველა დაწესებულება და საწარმო, რომელიც ახდენს მინერალური რესურსების მიწისზედა ან მიწისქვეშა მოპოვებას კომერციული მიზნებისათვის, მათ შორის, საბურღი საშუალებებით მოპოვებას ან მოპოვებული მასალის დამუშავებას;

7) ოფშორი – ნიშნავს ზღვისა და ზღვის ფსკერს დაბალი წყლის ჩვეულებრივი და ზომიერი/საშუალო მოქცევის ნიშნულს შორის;

8) დამუშავება – მექანიკური, ფიზიკური, ბიოლოგიური, თერმული ან ქიმიური პროცესი ან მინერალურ რესურსებზე ჩატარებული პროცესების კომბინაცია, რომელიც მოიცავს კარიერების დამუშავებას მინერალის მოპოვების მიზნით, მათ შორის, ზომის შეცვლას, კლასიფიკაციას, განცალკევებასა და გამოტუქვას, ასევე, უკვე გადაყრილი ნარჩენების ხელახლა გადამუშავებას, მაგრამ არ გულისხმობს დნობის, თერმული წარმოების (კირქვის დაწვის გარდა) და მეტალურგიულ პროცესებს;

9) კულები – მყარი ნარჩენები ან სუსპენზიები, რომლებიც რჩება მინერალების გამოსაცალკევებელი პროცესებით დამუშავების შემდეგ (მაგალითად, დამსხვრევა, დაფქვა, ზომის მიხედვით დახარისხება, ფლოტაცია და სხვა ფიზიკურ-ქიმიური გზით) ნაკლები ღირებულების მასიდან ღირებული მინერალების მოსაშორებლად;

10) გროვა – ინჟინრული ობიექტი მყარი ნარჩენების ზედაპირზე განსათავსებლად;

11) კაშხალი – ინჟინრული კონსტრუქცია, რომელიც შექმნილია აუზში წყლის ან/და ნარჩენების შესაკავებლად;

12) აუზი – ბუნებრივი ან ტექნოლოგიურად შექმნილი ობიექტი, მინერალური რესურსების დამუშავების შედეგად და წყლის გაწმენდისა და გადამუშავების პროცესის შედეგად წარმოქმნილი წვრილმარცვლოვანი ნარჩენების, ჩვეულებრივი კულების, სხვადასხვა რაოდენობის თავისუფალი წყლისთვის;

13) სუსტ მჟავა არეში დისოცირებადი ციანიდი – ციანიდი და ციანიდის ნაერთები, რომლებიც იშლება სუსტ მჟავასთან განსაზღვრულ pH-ში;

14) ნაჟური – ნებისმიერი სითხე, რომელიც გამოყოფილია ნარჩენების განთავსების შედეგად, მათ შორის, ნარჩენების ობიექტიდან, დაბინძურებული დრენაჟის ჩათვლით, რამაც გარემოზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სათანადო რეაგირების არარსებობის შემთხვევაში;

15) ნარჩენების ობიექტი – ნებისმიერი ადგილი, რომელიც განკუთვნილია მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების შესაგროვებლად ან განსათავსებლად მყარ ან თხევად მდგომარეობაში, ხსნარის ან სუსპენზიის სახით, შემდეგი პერიოდების განმავლობაში:

- ვალა არ არის განსაზღვრული A კატეგორიის ნარჩენების ობიექტებისთვის და იმ ობიექტებისთვის, რომელთა ნარჩენები მიეკუთვნება სახიფათო კატეგორიას, ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

such as energy fuels, metal ores, industrial minerals and construction minerals, but excluding water;

6) 'extractive industries' means all establishments and undertakings engaged in surface or underground extraction of mineral resources for commercial purposes, including extraction by drilling boreholes, or treatment of the extracted material;

7) 'off-shore' means that area of the sea and seabed extending from the low water mark of ordinary or medium tides outwards;

8) 'treatment' means the mechanical, physical, biological, thermal or chemical process or combination of processes carried out on mineral resources, including from the working of quarries, with a view to extracting the mineral, including size change, classification, separation and leaching, and the re-processing of previously discarded waste, but excluding smelting, thermal manufacturing processes (other than the burning of limestone) and metallurgical processes;

9) 'tailings' means the waste solids or slurries that remain after the treatment of minerals by separation processes (e.g. crushing, grinding, size-sorting, flotation and other physico-chemical techniques) to remove the valuable minerals from the less valuable rock;

10) 'heap' means an engineered facility for the deposit of solid waste on the surface;

11) 'dam' means an engineered structure designed to retain or confine water and/or waste within a pond;

12) 'pond' means a natural or engineered facility for disposing of fine-grained waste, normally tailings, along with varying amounts of free water, resulting from the treatment of mineral resources and from the clearing and recycling of process water;

13) 'weak acid dissociable cyanide' means cyanide and cyanide compounds that are dissociated with a weak acid at a defined pH;

14) 'leachate' means any liquid percolating through the deposited waste and emitted from or contained within a waste facility, including polluted drainage, which may adversely affect the environment if not appropriately treated;

15) 'waste facility' means any area designated for the accumulation or deposit of extractive waste, whether in a solid or liquid state or in solution or suspension, for the following time-periods:

- no time-period for Category A waste facilities and facilities for waste characterised as hazardous in the waste management plan;
- a period of more than six months for facilities for hazardous waste generated unexpectedly;

- 6 თვეზე მეტი ვადა მოულოდნელად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების ობიექტებისთვის;
- 1 წელზე მეტი ვადა არასახიფათო, არაინერტული ნარჩენების ობიექტებისთვის;
- 3 წელზე მეტი ვადა დაუბინძურებელი ნიადაგის, არასახიფათო საძიებო ნარჩენების, ასევე, ტორფის და ინერტული ნარჩენების მოპოვების, დამუშავებისა და შენახვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების ობიექტებისთვის.

16) ასეთი ობიექტები მოიცავს ნებისმიერ კაშხალს ან სხვა სტრუქტურას, რომელიც ემსახურება ასეთი ობიექტის შეკავებას, შენახვას, შემოსაზღვრას ან სხვაგვარად ხელშეწყობას; ასევე, მოიცავს გროვებს და ავეზებს, თუმცა, არ მოიცავს მინერალების მოპოვებისათვის გათხრების შედეგად წარმოქმნილ სიცარიელებს, სადაც ხდება ნარჩენების სარეაბილიტაციო და სამშენებლო მიზნებისთვის განთავსება;

17) დიდი ავარია – ამ დირექტივით გათვალისწინებულ ნებისმიერ დაწესებულებაში მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობისას მომხდარი ავარია, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და/ან გარემოს, დაუყოვნებლივ თუ დროთა განმავლობაში, ადგილზე ან მის გარეთ;

18) სახიფათო ნივთიერება – ნივთიერება, ნარევი ან პრეპარატი, რომელიც მიიჩნევა სახიფათოდ 67/548/EEC¹⁷ ან 1999/45/EC¹⁸ დირექტივებში არსებული განმარტების შესაბამისად;

19) საუკეთესო ხელმისაწვდომი მეთოდები – განმარტებულია 96/61/EC დირექტივის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტში;

20) წყლის მიმღები - ზედაპირული წყლები, გრუნტის წყლები, გარდამავალი წყლები და სანაპირო წყლები, რაც განსაზღვრულია 2000/60/EC დირექტივის მე-2 მუხლის პირველი, მე-2, მე-6 და მე-7 პუნქტებით;

21) რეაბილიტაცია – ნარჩენების ობიექტის მიერ დაზიანებული მიწის დამუშავება ისე, რომ მოხდეს მიწის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობამდე მიყვანა, განსაკუთრებით, ნიადაგის ხარისხის, ველური ბუნების, ბუნებრივი გარემოს, მტკნარი წყლის სისტემების, ლანდშაფტისა და შესაბამისი სასარგებლო გამოყენების გათვალისწინებით;

22) დაზვერვა - ეკონომიკური ღირებულების მქონე მინერალების საბადოების ძიება, მათ შორის, სინჯის აღება, ნიმუშის აღება, ბურღვა და თხრილების გაყვანა, რაც არ გულისხმობს ამ საბადოების განვითარებისთვის საჭირო რაიმე სამუშაოებს ან არსებულ მოპოვებით საქმიანობასთან დაკავშირებულ რაიმე ქმედებას;

23) საზოგადოება – ერთი ან მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე, ეროვნული კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად, მათი ასოციაციები, ორგანიზაციები ან ჯგუფები;

24) დაინტერესებული საზოგადოება – საზოგადოება, რომელზეც გავლენას ახდენს ან შესაძლოა გავლენა იქონიოს გარემოს შესახებ გადაწყვეტილების მიღებამ ამ დირექტივის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად, ან რომელიც დაინტერესებულია ამ

- a period of more than one year for facilities for non-hazardous non-inert waste;
- a period of more than three years for facilities for unpolluted soil, non-hazardous prospecting waste, waste resulting from the extraction, treatment and storage of peat and inert waste.

16) Such facilities are deemed to include any dam or other structure serving to contain, retain, confine or otherwise support such a facility, and also to include, but not be limited to, heaps and ponds, but excluding excavation voids into which waste is replaced, after extraction of the mineral, for rehabilitation and construction purposes;

17) ‘major accident’ means an occurrence on site in the course of an operation involving the management of extractive waste in any establishment covered by this Directive, leading to a serious danger to human health and/or the environment, whether immediately or over time, on-site or off-site;

18) ‘dangerous substance’ means a substance, mixture or preparation which is dangerous within the meaning of Directive 67/548/EEC⁽¹⁷⁾ or Directive 1999/45/EC⁽¹⁸⁾;

19) ‘best available techniques’ is as defined in Article 2(11) of Directive 96/61/EC;

20) ‘receiving body of water’ means surface waters, groundwater, transitional waters and coastal water as defined in Article 2(1), (2), (6) and (7) of Directive 2000/60/EC, respectively;

21) ‘rehabilitation’ means the treatment of the land affected by a waste facility in such a way as to restore the land to a satisfactory state, with particular regard to soil quality, wild life, natural habitats, freshwater systems, landscape and appropriate beneficial uses;

22) ‘prospecting’ means the search for mineral deposits of economic value, including sampling, bulk sampling, drilling and trenching, but excluding any works required for the development of such deposits, and any activities directly associated with an existing extractive operation;

23) ‘the public’ means one or more natural or legal persons and, in accordance with national legislation or practice, their associations, organisations or groups;

24) ‘the public concerned’ means the public affected or likely to be affected by, or having an interest in, the environmental decision-making under Articles 6 and 7 of this Directive; for the purposes of this definition, non-governmental organisations

გადაწყვეტილების მიღებით. მოცემული განმარტების მიზნებისათვის, ასეთი ინტერესის მქონედ მიიჩნევიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და აკმაყოფილებენ ეროვნული კანონმდებლობის ნებისმიერ მოთხოვნას;

25) ოპერატორი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მართვაზე იმ წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომელშიც ხდება ნარჩენების მართვა, მათ შორის, მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების დროებით შენახვაზე, როგორც ექსპლუატაციის დროს, ასევე, დახურვის შემდეგაც;

26) ნარჩენების მფლობელი - მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მწარმოებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ნარჩენებს;

27) კომპეტენტური პირი – ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს ტექნიკური ცოდნა და გამოცდილება იმ წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომელშიც იგი მუშაობს აღნიშნული დირექტივით გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად;

28) კომპეტენტური ორგანო – ორგანო ან ორგანოები, რომელთაც წევრი სახელმწიფო აკისრებს პასუხისმგებლობას აღნიშნული დირექტივით გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად;

29) უბანი/საიტი – კონკრეტულ გეოგრაფიული ადგილი, რომელიც არის ოპერატორის მართვის ქვეშე;

30) არსებითი ცვლილება – ნარჩენების ობიექტის სტრუქტურის ან ფუნქციონირების ცვლილება, რომელსაც, კომპეტენტური ორგანოს აზრით, შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა ან გარემოზე.

**მუხლი 4
ზოგადი დებულებები**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მართვა მოხდეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის გარეშე, ან ისეთი პროცესებისა და მეთოდების გამოყენების გარეშე, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენონ გარემოს, განსაკუთრებით წყალს, ჰაერს, ნიადაგს, ლანდშაფტს, ფაუნასა და ფლორას, ასევე, უსიამოვნო სუნისა და ხმაურის გამოწვევის გარეშე, ან განსაკუთრებული ინტერესის მქონე ადგილებზე უარყოფითი ზემოქმედების გარეშე. წევრმა სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რომ აიკრძალოს მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების დატოვება, გადაყრა ან უკონტროლო განთავსება.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ოპერატორმა მიიღოს ყველა საჭირო ზომა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მართვის შედეგად გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. ეს მოიცავს ნარჩენების ნებისმიერი ობიექტის მართვას, მათ შორის, მისი დახურვის შემდეგაც, ასევე, ამ დაწესებულებაში დიდი

promoting environmental protection and meeting any requirement under national law shall be deemed to have such an interest;

25) ‘operator’ means the natural or legal person responsible for the management of extractive waste, in accordance with the national law of the Member State in which waste management takes place, including in respect of temporary storage of extractive waste as well as the operational and the after-closure phases;

26) ‘waste holder’ means the producer of the extractive waste or the natural or legal person who is in possession of it;

27) ‘competent person’ means a natural person who has the technical knowledge and experience, as defined by the national law of the Member State in which the person operates, to perform the duties arising from this Directive;

28) ‘competent authority’ means the authority or authorities which a Member State designates as responsible for performing the duties arising from this Directive;

29) ‘site’ means all land at a distinct geographic location under the management control of an operator;

30) ‘substantial change’ means a change in the structure or operation of a waste facility that, in the opinion of the competent authority, may have significant negative effects on human health or the environment.

**Article 4
General requirements**

1. Member States shall take the necessary measures to ensure that extractive waste is managed without endangering human health and without using processes or methods which could harm the environment, and in particular without risk to water, air, soil and fauna and flora, without causing a nuisance through noise or odours and without adversely affecting the landscape or places of special interest. Member States shall also take the necessary measures to prohibit the abandonment, dumping or uncontrolled depositing of extractive waste.

2. Member States shall ensure that the operator takes all measures necessary to prevent or reduce as far as possible any adverse effects on the environment and human health brought about as a result of the management of extractive waste. This includes the management of any waste facility, also after its closure, and the prevention of major accidents involving that

ავარიების პრევენციას და ამ შედეგების ზემოქმედების შემცირებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

3. მე-2 პუნქტში მითითებული ზომები, *inter alia*, უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ მეთოდებს, კონკრეტული მეთოდის ან სპეციფიური ტექნოლოგიის გამოყენების განსაზღვრის გარეშე, თუმცა უნდა მოხდეს ნარჩენების ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ადგილობრივი გარემო პირობების გათვალისწინება.

მუხლი 5
ნარჩენების მართვის გეგმა

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ოპერატორმა შეადგინოს ნარჩენების მართვის გეგმა მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, დამუშავების, აღდგენისა და განადგურების მიზნით, მდგრადი განვითარების პრინციპის გათვალისწინებით.

2. ნარჩენების მართვის გეგმის მიზნები უნდა იყოს:

ა) ნარჩენების წარმოქმნის და მათგან გამოწვეული ზიანის შემცირება ან აცილება, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა:

- i. ნარჩენების მართვა დაპროექტების ფაზაში, ასევე, მინერალების მოპოვებისა და დამუშავების მეთოდის არჩევის დროს;
- ii. ცვლილებები, რომლებიც შეიძლება განიცადოს მოპოვებითი მრეწველების ნარჩენებმა ზედაპირის ფართობის ზრდის და მიწის ზემოთ არსებული პირობების ზემოქმედების გამო;
- iii. მინერალების მოპოვების შემდეგ, მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების კვლავ განთავსება გათხრების შედეგად დარჩენილ სივრცეებში, თუ ეს შესაძლებელია ტექნიკურად და ეკონომიკურად და მისაღებია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ევროგაერთიანების გარემოსდაცვითი სტანდარტების და ამ დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში;
- iv. ნარჩენების ობიექტის დახურვის შემდეგ ნიადაგის ზედა ფენის ადგილზე დაბრუნება ან, თუ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ზედა ფენის ხელმეორედ გამოყენება სხვა ადგილებში;
- v. ნაკლებად სახიფათო ნივთიერებების გამოყენება მინერალური რესურსების დამუშავების მიზნით.

ბ) მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების აღდგენის ხელშეწყობა ამგვარი ნარჩენების გადამუშავების, ხელახლა გამოყენებისა და აღდგენის გზით, თუ ეს მისაღებია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ევროგაერთიანების გარემოსდაცვითი სტანდარტების და ამ დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში.

გ) მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მოკლე და გრძელვადიან პერიოდში უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა, კერძოდ, დაპროექტების ეტაპზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნარჩენების ობიექტის მართვა

facility and the limiting of their consequences for the environment and human health.

3. The measures referred to in paragraph 2 shall be based, *inter alia*, on the best available techniques, without prescribing the use of any technique or specific technology, but taking into account the technical characteristics of the waste facility, its geographical location and the local environmental conditions.

Article 5
Waste management plan

1. Member States shall ensure that the operator draws up a waste management plan for the minimisation, treatment, recovery and disposal of extractive waste, taking account of the principle of sustainable development.

2. The objectives of the waste management plan shall be:

(a) to prevent or reduce waste production and its harmfulness, in particular by considering:

- (i) waste management in the design phase and in the choice of the method used for mineral extraction and treatment;
- (ii) the changes that the extractive waste may undergo in relation to an increase in surface area and exposure to conditions above ground;
- (iii) placing extractive waste back into the excavation void after extraction of the mineral, as far as is technically and economically feasible and environmentally sound in accordance with existing environmental standards at Community level and with the requirements of this Directive where relevant;
- (iv) putting topsoil back in place after the closure of the waste facility or, if this is not practically feasible, reusing topsoil elsewhere;
- (v) using less dangerous substances for the treatment of mineral resources;

(b) to encourage the recovery of extractive waste by means of recycling, reusing or reclaiming such waste, where this is environmentally sound in accordance with existing environmental standards at Community level and with the requirements of this Directive where relevant;

(c) to ensure short and long-term safe disposal of the extractive waste, in particular by considering, during the design phase, management during the operation and after-closure of a waste facility and by choosing a design which:

როგორც ექსპლუატაციის დროს, ასევე, ობიექტის დახურვის შემდეგ, და შეირჩეს პროექტი, რომელიც:

- (i) მოითხოვს მინიმალურ ან, თუ ეს შესაძლებელია, საერთოდ არ მოითხოვს ნარჩენების დახურული ობიექტის მონიტორინგს, კონტროლსა და მართვას;
- (ii) ახდენს პრევენციას ან მინიმუმამდე ამცირებს ყოველგვარ გრძელვადიან უარყოფით ზემოქმედებას, რომელიც გამოწვეულია, მაგალითად, ჰაერით ან წყლით გავრცელებადი დამაბინძურებლების ნარჩენების ობიექტიდან გავრცელებით; და
- (iii) უზრუნველყოფს ნებისმიერი კაშხლის ან გროვის გრძელვადიან გეოტექნიკურ სტაბილურობას, რომელიც მიწის ადრე არსებულ ზედაპირზე მაღლა დგას.

3. ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ელემენტებს:

ა) საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების ობიექტის შემოთავაზებულ კლასიფიკაციას III დანართში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად:

- სადაც საჭიროა A კატეგორიის ნარჩენების ობიექტი, დოკუმენტს, რომელიც აჩვენებს, რომ დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკა, მის განსახორციელებლად არსებული უსაფრთხოების მართვის სისტემა და საგანგებო სიტუაციების შიდა გეგმა ამოქმედდება მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;
- როდესაც ოპერატორი მიიჩნევს, რომ A კატეგორიის ნარჩენების ობიექტი არ არის საჭირო, ამის დამადასტურებელი ინფორმაცია, რომელიც ახდენს შესაძლო ავარიის საფრთხეების იდენტიფიკაციას;

ბ) ნარჩენების მახასიათებლებს II დანართის შესაბამისად და დადგენილებას მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების სავარაუდო საერთო რაოდენობის შესახებ, რომლებიც უნდა წარმოიქმნას ოპერირების განმავლობაში;

გ) ასეთი ნარჩენების წარმოქმნის პროცესის და ნებისმიერი შემდგომი დამუშავების აღწერას, რომელსაც ის ექვემდებარება;

დ) აღწერას, თუ როგორ შეიძლება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედოს ასეთი ნარჩენების განთავსებამ და პრევენციულ ზომებს, რომლებიც მიღებული უნდა იქნას, რათა მინიმუმამდე შემცირდეს გარემოზე ზემოქმედება ექსპლუატაციის დროს და დახურვის შემდეგ, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში მითითებული ასპექტების ჩათვლით.

ე) კონტროლისა და მონიტორინგის შემოთავაზებულ პროცედურებს მე-10 მუხლის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ) დახურვის შემოთავაზებულ გეგმას, რეაბილიტაციის, დახურვის შემდგომი პროცედურებისა და მეთვალყურეობის ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-12 მუხლით;

ზ) წყლის მდგომარეობის გაუარესების პრევენციულ ზომებს

- (i) requires minimal and, if possible, ultimately no monitoring, control and management of the closed waste facility;
- (ii) prevents or at least minimises any long-term negative effects, for example attributable to migration of airborne or aquatic pollutants from the waste facility; and
- (iii) ensures the long-term geotechnical stability of any dams or heaps rising above the pre-existing ground surface.

3. The waste management plan shall contain at least the following elements:

(a) where applicable, the proposed classification for the waste facility in accordance with the criteria laid down in Annex III:

- where a Category A waste facility is required, a document demonstrating that a major-accident prevention policy, a safety management system for implementing it and an internal emergency plan will be put into effect in accordance with Article 6(3);
- when the operator considers that a Category A waste facility is not required, sufficient information justifying this, including an identification of possible accident hazards;

(b) waste characterisation in accordance with Annex II and a statement of the estimated total quantities of extractive waste to be produced during the operational phase;

(c) a description of the operation generating such waste and of any subsequent treatment to which it is subject;

(d) a description of how the environment and human health may be adversely affected by the deposit of such waste and the preventive measures to be taken in order to minimise environmental impact during operation and after closure, including the aspects referred to in Article 11(2) (a), (b), (d) and (e);

(e) the proposed control and monitoring procedures pursuant to Articles 10, when applicable, and 11(2)(c);

(f) the proposed plan for closure, including rehabilitation, after-closure procedures and monitoring as provided for in Article 12;

(g) measures for the prevention of water status deterioration in

2000/60/EC დირექტივის შესაბამისად, ასევე, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების პრევენციულ ან მინიმუმამდე შემამცირებელ ზომებს მე-13 მუხლის შესაბამისად;

თ) მიწის მდგომარეობის კვლევას, რომელზეც ზეგავლენას მოახდენს ნარჩენების ობიექტი.

ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს საკმარის ინფორმაციას, რათა კომპეტენტურმა ორგანომ შეძლოს შეაფასოს ოპერატორის შესაძლებლობა, შეასრულოს ნარჩენების მართვის გეგმის მე-2 პუნქტში მითითებული მიზნები და ამ დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულებები. გეგმაში უნდა განიმარტოს, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველ ნაწილში არსებული მოცემულობა და მეთოდი, როგორ მიიღწევა ნარჩენების მართვის გეგმის მიზნები, რომლებიც მითითებულია მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში.

4. ნარჩენების მართვის გეგმა უნდა გადაიხედოს ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ან/და შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ განთავსებულ ნარჩენებში ან ნარჩენების ობიექტის მუშაობაში იქნება არსებითი ცვლილებები. ნებისმიერი ცვლილების თაობაზე უნდა ეცნობოს კომპეტენტურ ორგანოს.

5. გეგმები, რომლებიც შედგენილია სხვა ეროვნული ან ევროგაერთიანების კანონმდებლობის შესაბამისად და მოიცავს მე-3 პუნქტში მითითებულ ინფორმაციას, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუკი ეს გამორიცხავს ოპერატორის ან კომპეტენტური ორგანოს მიერ ინფორმაციის არასაჭირო დუბლირებას და სამუშაოს გამეორებას, იმ პირობით, რომ დაცულია 1-4 პუნქტებში მოცემული ყველა მოთხოვნა.

6. ნარჩენების მართვის გეგმას ამტკიცებს კომპეტენტური ორგანო წევრი სახელმწიფოების მიერ განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე და აკონტროლებს მის შესრულებას.

მუხლი 6

დიდი ავარიების პრევენცია და ინფორმირება

1. აღნიშნული მუხლის მოქმედება ვრცელდება A კატეგორიის ნარჩენების ობიექტებზე, გარდა იმ ნარჩენების ობიექტებისა, რომლებიც ექვევს 96/82/EC დირექტივის ფარგლებში.

2. ევროგაერთიანების სხვა კანონმდებლობის, კონკრეტულად კი, 92/91/EEC და 92/104/EEC დირექტივების შუაშუღდავად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დიდი ავარიის საფრთხეების გამოვლენა და აუცილებელი მახასიათებლების გათვალისწინება პროექტის მომზადების, მშენებლობის, ექსპლუატაციის, მომსახურების, ნარჩენების ობიექტის დახურვის და დახურვის შემდგომ ეტაპზე, რაც მიზნად ისახავს ამგვარი ავარიების თავიდან აცილებას და მათი უარყოფითი შედეგების ადამიანის ჯანმრთელობაზე და/ან გარემოზე მოქმედების შემცირებას, მათ შორის, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების ჩათვლით.

3. მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების მიზნებისთვის, ოპერაციების დაწყებამდე თითოეულმა ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკა მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მართვის

accordance with Directive 2000/60/EC and for the prevention or minimisation of air and soil pollution pursuant to Article 13;

(h) a survey of the condition of the land to be affected by the waste facility.

The waste management plan shall provide sufficient information to enable the competent authority to evaluate the operator's ability to meet the objectives of the waste management plan as set out in paragraph 2 and his obligations under this Directive. The plan shall explain, in particular, how the option and method chosen as mentioned in paragraph 2(a)(i) will fulfil the objectives of the waste management plan as laid down in paragraph 2(a).

4. The waste management plan shall be reviewed every five years and/or amended, as appropriate, in the event of substantial changes to the operation of the waste facility or to the waste deposited. Any amendments shall be notified to the competent authority.

5. Plans produced pursuant to other national or Community legislation and containing the information specified in paragraph 3 may be used where this obviates the unnecessary duplication of information and the repetition of work by the operator, on condition that all requirements under paragraphs 1 to 4 are met.

6. The competent authority shall approve the waste management plan on the basis of procedures to be decided by the Member States and shall monitor its implementation.

Article 6

Major-accident prevention and information

1. This Article shall apply to Category A waste facilities, save for those waste facilities falling within the scope of Directive 96/82/EC.

2. Without prejudice to other Community legislation, and in particular Directives 92/91/EEC and 92/104/EEC, Member States shall ensure that major-accident hazards are identified and that the necessary features are incorporated into the design, construction, operation and maintenance, closure and after-closure of the waste facility in order to prevent such accidents and to limit their adverse consequences for human health and/or the environment, including any transboundary impacts.

3. For the purposes of the requirements under paragraph 2, each operator shall, before the start of operations, draw up a major-accident prevention policy for the management of extractive waste and put into effect a safety management system

მიზნით და მის განსახორციელებლად ამოქმედოს უსაფრთხოების მართვის სისტემა, I დანართის პირველი სექციით გათვალისწინებული ელემენტების შესაბამისად. ოპერატორმა, ასევე, უნდა ამოქმედოს საგანგებო სიტუაციების შიდა გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია ავარიის დროს ადგილზე გასატარებელი ღონისძიებები.

აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში, ოპერატორმა უნდა დანიშნოს უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკის განხორციელებაზე და პერიოდულ ზედამხედველობაზე.

კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეადგინოს საგანგებო სიტუაციების გარე გეგმა და განსაზღვროს ავარიის დროს საშუაოს გარეთ გასატარებელი ღონისძიებები. ნებართვის მისაღებად საჭირო განაცხადის ფარგლებში, ოპერატორმა კომპეტენტურ ორგანოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს გეგმის შემუშავება.

4. მე-3 პუნქტში მითითებულ საგანგებო სიტუაციების გეგმებს უნდა ჰქონდეს შემდეგი მიზნები:

ა) დიდი ავარიების და სხვა ინციდენტების შეზღუდვა და კონტროლი, რათა შემცირდეს მათი ზეგავლენა, განსაკუთრებით, შემცირდეს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის ზიანის მიყენების ხარისხი;

ბ) დიდი ავარიების და სხვა ინციდენტების ზემოქმედებისაგან ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დასაცავად საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

გ) საჭირო ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისა და შესაბამისი სამსახურების ან ხელისუფლების ორგანოებისთვის;

დ) გარემოს რეაბილიტაციის, აღდგენისა და დასუფთავების უზრუნველყოფა დიდი ავარიების შემდეგ.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიდი ავარიების შემთხვევაში, ოპერატორმა კომპეტენტურ ორგანოს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად და, ასევე, შეაფასოს და შეამციროს გარემოსთვის მიყენებული რეალური თუ პოტენციური ზიანის ხარისხი.

5. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას ადრეულ ეტაპზე უნდა მიეცეს ეფექტიანი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს მე-3 პუნქტის შესაბამისად შემუშავებული საგანგებო სიტუაციების გარე გეგმის მომზადებას ან განხილვაში. ამ მიზნით, დაინტერესებული საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული ნებისმიერი ასეთი წინადადების შესახებ და ხელი უნდა მიუწვდებოდეს შესაბამის ინფორმაციაზე, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების თაობაზე და კომპეტენტური ორგანოს შესახებ, რომელსაც შეიძლება წარედგინოს კომენტარები და კითხვები.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას ჰქონდეს კომენტარების გონივრულ ვადაში გამოთქმის უფლება და რომ, საგანგებო სიტუაციების გარე გეგმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ამ კომენტარებს მიექცევა სათანადო ყურადღება.

implementing it, in accordance with the elements set out in Section 1 of Annex I, and shall also put into effect an internal emergency plan specifying the measures to be taken on site in the event of an accident.

As part of that policy, the operator shall appoint a safety manager responsible for the implementation and periodic supervision of the major-accident prevention policy.

The competent authority shall draw up an external emergency plan specifying the measures to be taken off-site in the event of an accident. As part of the application for a permit the operator shall provide the competent authority with the information necessary to enable the latter to draw up that plan.

4. The emergency plans referred to in paragraph 3 shall have the following objectives:

(a) to contain and control major accidents and other incidents so as to minimise their effects, and in particular to limit damage to human health and the environment;

(b) to implement the measures necessary to protect human health and the environment from the effects of major accidents and other incidents;

(c) to communicate the necessary information to the public and to the relevant services or authorities in the area;

(d) to provide for the rehabilitation, restoration and clean-up of the environment following a major accident.

Member States shall ensure that, in the event of a major accident, the operator immediately provides the competent authority with all the information required to help minimise its consequences for human health and to assess and minimise the extent, actual or potential, of the environmental damage.

5. Member States shall ensure that the public concerned are given early and effective opportunities to participate in the preparation or review of the external emergency plan to be drawn up in accordance with paragraph 3. To that end, the public concerned shall be informed about any such proposal and relevant information shall be made available, including, inter alia, information about the right to participate in the decision-making process and about the competent authority to which comments and questions may be submitted.

Member States shall ensure that the public concerned is entitled to express comments within reasonable time frames and that, in the decision on the external emergency plan, due account is taken of these comments.

6. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ინფორმაცია უსაფრთხოების ზომებისა და ავარიის დროს საჭირო ღონისძიებების შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს I დანართის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილ ელემენტებს, უფასოდ მიეწოდება დაინტერესებულ საზოგადოებას.

აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაიხედოს 3 წელიწადში ერთხელ და განახლდეს საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 7
განცხადება და ნებართვა

1. დაუშვებელია ნარჩენების ობიექტის ფუნქციონირება კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის გარეშე. ნებართვა უნდა მოიცავდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ელემენტებს და მკაფიოდ უნდა მიეთითოს ნარჩენების ობიექტის კატეგორია მე-9 მუხლში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

ამ მუხლის ყველა მოთხოვნის დაცვის შემთხვევაში, ეროვნული ან ევროგაერთიანების კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ნებისმიერი ნებართვა შეიძლება გაერთიანდეს და შექმნას ერთიანი ნებართვა, თუკი ეს გამორიცხავს ოპერატორის ან კომპეტენტური ორგანოს მიერ ინფორმაციის არასაჭირო დუბლირებას და სამუშაოს გამეორებას. მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დეტალები შეიძლება მოიცვას ერთმა ან რამდენიმე ნებართვამ, იმ პირობით, რომ დაცულია ამ მუხლის ყველა მოთხოვნა.

2. განცხადება ნებართვის მიღების თაობაზე უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს:

- ა) ოპერატორის ვინაობას;
- ბ) ნარჩენების ობიექტის მდებარეობის შეთავაზებას, მათ შორის, ნებისმიერ შესაძლო ალტერნატიულ მდებარეობას;
- გ) ნარჩენების მართვის გეგმას, რომელიც შეესაბამება მე-5 მუხლის მოთხოვნებს;
- დ) ადეკვატურ პირობებს ფინანსური გარანტიის ან ეკვივალენტის სახით, რომლებიც შეესაბამება მე-14 მუხლის მოთხოვნებს;
- ე) ოპერატორის მიერ 85/337/EEC დირექტივის¹⁹ მე-5 მუხლის მოთხოვნების დაცვით წარდგენილ ინფორმაციას, თუკი საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასება აღნიშნული დირექტივის შესაბამისად.

3. კომპეტენტური ორგანო ნებართვას გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დარწმუნდება, რომ:

- ა) ოპერატორი აკმაყოფილებს ამ დირექტივით დადგენილ მოთხოვნებს;
- ბ) ნარჩენების მართვა პირდაპირ არ ეწინააღმდეგება ან სხვაგვარად არ ახდენს გავლენას ნარჩენების მართვის შესაბამისი გეგმის ან 75/422/EEC დირექტივის მე-7 მუხლით გათვალისწინებული გეგმების განხორციელებაზე.

4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყონ კომპეტენტური ორგანოების მიერ ნებართვის პირობების პერიოდული განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, განახლება:

- როდესაც ხდება არსებითი ცვლილებები ნარჩენების

6. Member States shall ensure that information on safety measures and on the action required in the event of an accident, containing at least the elements listed in Section 2 of Annex I, is provided, free of charge and as a matter of course, to the public concerned.

That information shall be reviewed every three years and, where necessary, updated.

Article 7
Application and permit

1. No waste facility shall be allowed to operate without a permit granted by the competent authority. The permit shall contain the elements specified in paragraph 2 of this Article and shall clearly indicate the category of the waste facility in accordance with the criteria referred to in Article 9.

Subject to compliance with all requirements under this Article, any permit produced pursuant to other national or Community legislation may be combined to form a single permit, where such a format obviates the unnecessary duplication of information and the repetition of work by the operator or competent authority. The details specified in paragraph 2 can be covered by one single permit or several permits, provided that all requirements under this Article are complied with.

2. The application for a permit shall contain at least the following details:

- (a) the identity of the operator;
- (b) the proposed location of the waste facility, including any possible alternative locations;
- (c) the waste management plan pursuant to Article 5;
- (d) adequate arrangements by way of a financial guarantee or equivalent, as required under Article 14;
- (e) the information provided by the operator in accordance with Article 5 of Directive 85/337/EEC (19) if an environmental impact assessment is required under that Directive.

3. The competent authority shall only grant a permit if it is satisfied that:

- (a) the operator complies with the relevant requirements under this Directive;
- (b) the management of waste does not conflict directly or otherwise interfere with the implementation of the relevant waste management plan or plans referred to in Article 7 of Directive 75/442/EEC.

4. Member States shall take the necessary measures to ensure that competent authorities periodically reconsider and, where necessary, update permit conditions:

- where there are substantial changes in the operation of the waste facility or the waste deposited;

- მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ოპერატორის მიერ მიწოდებული მონიტორინგის შედეგების ან მე-17 მუხლის მოთხოვნების დაცვით განხორციელებული ინსპექტირების საფუძველზე;
- 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საუკეთესო ხელმისაწვდომ მეთოდებში არსებითი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გაცვლის შედეგად.

5. ინფორმაცია, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად არის მითითებული გაცემულ ნებართვაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტატისტიკის მწარმოებელი ეროვნული და ევროგაერთიანების კომპეტენტური ორგანოებისათვის, თუ ეს მოთხოვნა განკუთვნილია სტატისტიკური მიზნებისათვის. არ უნდა გასაჯაროდეს წმინდა კომერციული ხასიათის ისეთი სენსიტიური ინფორმაცია, როგორცაა ინფორმაცია ბიზნეს-ურთიერთობების, ხარჯების კომპონენტებისა და მინერალური მარაგების ეკონომიკური მოცულობის შესახებ.

მუხლი 8
საზოგადოების მონაწილეობა

1. საზოგადოების ინფორმირება უნდა მოხდეს საჯარო შეტყობინებების ან სხვა შესაბამისი საშუალებებით, მაგალითად, სადაც შესაძლებელია მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებით, ნებართვის გაცემის პროცედურის ადრეულ ეტაპზე ან, ყველაზე გვიან, ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიწოდებისთანავე, შემდეგ საკითხებზე:

- ა) განცხადება ნებართვის მოთხოვნის თაობაზე;
- ბ) საჭიროების შემთხვევაში იმ ფაქტის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ნებართვის მოთხოვნის შესახებ განცხადებას, ექვემდებარება წევრ სახელმწიფოებს შორის კონსულტაციებს მე-16 მუხლის შესაბამისად;
- გ) გადაწყვეტილების მიღები ორგანოების მონაცემები, რომელთაგან შესაძლებელია შესაბამისი ინფორმაციის მიღება და ვისთანაც შეიძლება კომენტარების ან შეკითხვების წარდგენა, ასევე, აღნიშნული კომენტარების ან შეკითხვების წარდგენის ვადები;
- დ) შესაძლო გადაწყვეტილებების ხასიათი;
- ე) საჭიროების შემთხვევაში ნებართვის ან ნებართვის პირობების განახლების შესახებ წინადადებასთან დაკავშირებული მონაცემები;
- ვ) შესაბამისი ინფორმაციის განთავსების დროის, ადგილებისა და განთავსების საშუალების შესახებ მითითება;
- ზ) საზოგადოების მონაწილეობის პირობების შესახებ მონაცემები, რომლებიც მიღებულია მე-7 პუნქტის შესაბამისად.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაინტერესებული საზოგადოებისთვის შესაბამის ვადაში ხელმისაწვდომი გახდეს:

- ა) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ძირითადი ანგარიშები და რჩევები, რომლებიც კომპეტენტურ ორგანოს გადაეცა საზოგადოების ინფორმირების შემდეგ, პირველი პუნქტის მოთხოვნების დაცვით.
- ბ) საზოგადოების გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ

- on the basis of monitoring results reported by the operator pursuant to Article 11(3) or inspections carried out pursuant to Article 17;
- in the light of information exchange on substantial changes in best available techniques under Article 21(3).

5. The information contained in a permit granted under this Article shall be made available to the competent national and Community statistical authorities where requested for statistical purposes. Sensitive information of a purely commercial nature, such as information concerning business relations and cost components and the volume of economic mineral reserves, shall not be made public.

Article 8
Public participation

1. The public shall be informed, by public notices or other appropriate means, such as electronic media where available, of the following matters early in the procedure for granting a permit or, at the latest, as soon as the information can reasonably be provided:

- (a) the application for a permit;
- (b) where applicable, the fact that a decision concerning an application for a permit is subject to consultation between the Member States in accordance with Article 16;
- (c) details of the competent authorities responsible for taking the decision, those from which relevant information can be obtained, those to which comments or questions can be submitted, and details of the time schedule for transmitting comments or questions;
- (d) the nature of possible decisions;
- (e) where applicable, the details relating to a proposal for the updating of a permit or of permit conditions;
- (f) an indication of the times and places where, or the means by which, the relevant information will be made available;
- (g) details of the arrangements for public participation made pursuant to paragraph 7.

2. Member States shall ensure that, within appropriate time frames, the following are made available to the public concerned:

- (a) in accordance with national legislation, the main reports and advice transmitted to the competent authority at the time when the public were informed in accordance with paragraph 1;
- (b) in accordance with the provisions of Directive 2003/4/EC

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 28 იანვრის 2003/4/EC დირექტივის²⁰ დებულებების შესაბამისად, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია და ასევე ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია ამ დირექტივის მე-7 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებისთვის და რომელიც ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოების ინფორმირების შემდეგ, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმირება ნებართვის იმ პირობების განახლების თაობაზე, რომლებიც გათვალისწინებულია მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით.

4. დაინტერესებულ საზოგადოებას უფლება აქვს, გადაწყვეტილების მიღებამდე გამოთქვას კომენტარები და მოსაზრებები კომპეტენტური ორგანოს წინაშე.

5. გადაწყვეტილების მიღების დროს სათანადოდ იქნება გათვალისწინებული ამ მუხლის შესაბამისად გამართული კონსულტაციების შედეგები.

6. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კომპეტენტურმა ორგანომ, შესაბამისი პროცედურების დაცვით, დაინტერესებულ საზოგადოებას უნდა აცნობოს და მისთვის ხელმისაწვდომი გახადოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) გადაწყვეტილების შინაარსი, ნებართვის ასლის ჩათვლით;
- ბ) მიზეზები და მოსაზრებები, რომლებსაც ემყარება გადაწყვეტილება.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული საზოგადოების მონაწილეობის დეტალური პირობები უნდა განისაზღვროს წევრი სახელმწიფოების მიერ იმგვარად, რომ დაინტერესებულმა საზოგადოებამ შეძლოს სათანადოდ მომზადება და ეფექტური მონაწილეობა.

მუხლი 9

ნარჩენების ობიექტების კლასიფიკაციის სისტემა

აღნიშნული დირექტივის მიზნებისათვის, კომპეტენტური ორგანოების მიერ ნარჩენების ობიექტის A კატეგორიად კლასიფიცირება უნდა მოხდეს III დანართში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 10

მოპოვების შედეგად წარმოქმნილი სიცარიელები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სარეაბილიტაციო და სამშენებლო მიზნით მიწისზედა თუ მიწისქვეშა მოპოვების შედეგად წარმოქმნილ სიცარიელებში მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების ხელახლა განთავსებისას, ოპერატორმა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა:

- 1) უზრუნველყოს მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების სტაბილურობა, mutatis mutandis მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;
- 2) ხელი შეუშალოს ნიადაგის, ზედაპირული წყლისა და გრუნტის წყლების დაბინძურებას, mutatis mutandis მე-13 მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტების შესაბამისად;

of the European Parliament and of the Council of 28 January 2003 on public access to environmental information (20), any information in addition to that referred to in paragraph 1 of this Article which is relevant for the decision in accordance with Article 7 of this Directive and which only becomes available after the time the public have been informed in accordance with paragraph 1 of this Article.

3. Member States shall take appropriate measures to ensure that the public are informed, in accordance with paragraph 1 of this Article, of an update of permit conditions in accordance with Article 7(4).

4. The public concerned shall be entitled to express comments and opinions to the competent authority before a decision is taken.

5. The results of the consultations held pursuant to this Article shall be duly taken into account in the taking of a decision.

6. When a decision has been taken the competent authority shall, in accordance with the appropriate procedures, inform the public concerned and shall make the following information available to the public concerned:

- (a) the content of the decision, including a copy of the permit;
- (b) the reasons and considerations on which the decision is based.

7. The detailed arrangements for public participation under this Article shall be determined by the Member States so as to enable the public concerned to prepare and participate effectively.

Article 9

Classification system for waste facilities

For the purposes of this Directive, the competent authorities shall classify a waste facility as Category A in accordance with the criteria set out in Annex III.

Article 10

Excavation voids

1. Member States shall ensure that the operator, when placing extractive waste back into the excavation voids for rehabilitation and construction purposes, whether created through surface or underground extraction, takes appropriate measures in order to:

- (1) secure the stability of the extractive waste in accordance, mutatis mutandis, with Article 11(2);
- (2) prevent the pollution of soil, surface water and groundwater in accordance, mutatis mutandis, with Article 13(1), (3) and (5);

3) უზრუნველყოს მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების და მოპოვების შედეგად წარმოქმნილი სიცარიელების მონიტორინგი, mutatis mutandis მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად.

2. დირექტივა 1999/31/EC კვლავ ვრცელდება ნარჩენებზე, გარდა მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენებისა, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება მოპოვების შედეგად წარმოქმნილი სიცარიელების შესავსებად.

მუხლი 11

ნარჩენების ობიექტების მშენებლობა და მართვა

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ ნარჩენების ობიექტის მართვა ხორციელდებოდეს კომპეტენტური პირის მიერ და უზრუნველყოფილი იყოს ტექნიკური განვითარება და პერსონალის გადამზადება.

2. კომპეტენტური ორგანო უნდა დარწმუნდეს, რომ ნარჩენების ახალი ობიექტის მშენებლობის ან არსებული ობიექტის შეცვლისას ოპერატორი უზრუნველყოფს, რომ:

ა) ნარჩენების ობიექტი არის სათანადოდ განლაგებული, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა, დაცული ტერიტორიების შესახებ ევროგაერთიანების ან ეროვნული დონის ვალდებულებები, ასევე, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, სეისმური და გეოტექნიკური ფაქტორები. ნარჩენების ობიექტი დაპროექტებული უნდა იყოს ისე, რომ მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში მოახდინოს ნიადაგის, ჰაერის, გრუნტის წყლების ან ზედაპირული წყლის დაბინძურების პრევენცია, განსაკუთრებით, 76/464/EEC, 80/68/EEC და 2000/60/EC დირექტივების გათვალისწინებით, ასევე ნებართვის შესაბამისად უზრუნველყოს დაბინძურებული და ნაჟური წყლის ეფექტიანი შეგროვება და წყლის ან ქარისგან გამოწვეული ეროზიის შემცირება, რამდენადაც ეს ტექნიკურად შესაძლებელია და ეკონომიკურად ეფექტიანი;

ბ) ნარჩენების ობიექტი არის სათანადოდ აშენებული, მართული და მოვლილი მისი ფიზიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში ნიადაგის, ჰაერის, ზედაპირული წყლის ან გრუნტის წყლების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, ასევე, ლანდშაფტისთვის ზიანის მიყენების მაქსიმალურად შესამცირებლად;

გ) არსებობს სათანადო გეგმები და ღონისძიებები კომპეტენტური პირების მიერ ნარჩენების ობიექტის რეგულარული მონიტორინგისა და შემოწმებისათვის და არასტაბილურობის ან წყლის ან ნიადაგის დაბინძურების შემთხვევაში ზომების მისაღებად;

დ) მიღებულია სათანადო ზომები მიწის რეაბილიტაციისა და ნარჩენების ობიექტის დახურვისთვის;

ე) მიღებულია სათანადო ზომები ნარჩენების ობიექტის დახურვის შემდგომი ფაზისთვის.

„გ“ პუნქტი მითითებული მონიტორინგისა და შემოწმების

(3) ensure the monitoring of the extractive waste and the excavation void in accordance, mutatis mutandis, with Article 12(4) and (5).

2. Directive 1999/31/EC shall continue to apply to the waste other than extractive waste used for filling in excavation voids as appropriate.

Article 11

Construction and management of waste facilities

1. Member States shall take appropriate measures to ensure that the management of a waste facility is in the hands of a competent person and that technical development and training of staff are provided.

2. The competent authority shall satisfy itself that, in constructing a new waste facility or modifying an existing waste facility, the operator ensures that:

(a) the waste facility is suitably located, taking into account in particular Community or national obligations relating to protected areas, and geological, hydrological, hydrogeological, seismic and geotechnical factors, and is designed so as to meet the necessary conditions for, in the short and long-term perspectives, preventing pollution of the soil, air, groundwater or surface water, taking into account especially Directives 76/464/EEC⁽²¹⁾, 80/68/EEC⁽²²⁾ and 2000/60/EC, and ensuring efficient collection of contaminated water and leachate as and when required under the permit, and reducing erosion caused by water or wind as far as it is technically possible and economically viable;

(b) the waste facility is suitably constructed, managed and maintained to ensure its physical stability and to prevent pollution or contamination of soil, air, surface water or groundwater in the short and long-term perspectives as well as to minimise as far as possible damage to landscape;

(c) there are suitable plans and arrangements for regular monitoring and inspection of the waste facility by competent persons and for taking action in the event of results indicating instability or water or soil contamination;

(d) suitable arrangements are made for the rehabilitation of the land and the closure of the waste facility;

(e) suitable arrangements are made for the after-closure phase of the waste facility.

Records of the monitoring and inspections referred to in point (c)

ჩანაწერები შენახული უნდა იყოს სანებართვო დოკუმენტაციასთან ერთად, ინფორმაციის ჯეროვნად გადაცემის მიზნით, განსაკუთრებით, ოპერატორის შეცვლის შემთხვევაში.

3. ოპერატორმა გაუმართლებელი შეფერხების გარეშე, არა უგვიანეს 48 საათისა, უნდა აცნობოს კომპეტენტურ ორგანოს ნარჩენების ობიექტის სტაბილურობასა და გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების ნებისმიერი ფაქტის შესახებ, რომელიც გამოვლინდა ნარჩენების კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურების შედეგად. საჭიროების შემთხვევაში, ოპერატორმა უნდა შეასრულოს საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი შიდა გეგმა და დაიცვას კომპეტენტური ორგანოს ნებისმიერი სხვა ინსტრუქცია გასატარებელი გამოსასწორებელი ზომების შესახებ.

გასატარებელი ღონისძიებების ხარჯები უნდა გაიღოს ოპერატორმა.

კომპეტენტური ორგანოს მიერ განსაზღვრული სიხშირით, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ, შეჯამებული მონაცემების საფუძველზე ოპერატორმა კომპეტენტურ ორგანოებს უნდა აცნობოს მონიტორინგის ყველა შედეგი, რაც მიზნად ისახავს სანებართვო პირობების შესრულების დემონსტრირებას და ნარჩენების ან ნარჩენების ობიექტების ხასიათის შესახებ ცოდნის გაზრდას. ამ ანგარიშის საფუძველზე, კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ საჭიროა დამოწმება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

მუხლი 12

ნარჩენების ობიექტების დახურვისა და დახურვის შემდგომი პროცედურები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები მე-2-მე-5 პუნქტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

2. ნარჩენების ობიექტის დახურვის პროცედურა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია რომელიმე შემდეგი პირობა:

- ა) შესრულებულია ნებართვაში მითითებული შესაბამისი პირობები;
- ბ) ნებართვა გაცემულია კომპეტენტური ორგანოს მიერ, ოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე;
- გ) კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებულია დასაბუთებული გადაწყვეტილება აღნიშნულის თაობაზე.

3. ნარჩენების ობიექტი შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ დახურულად მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპეტენტური ორგანო, არაჯეროვანი შეფერხების გარეშე, ადგილზე ჩაატარებს საბოლოო შემოწმებას, შეაფასებს ოპერატორის მიერ წარმოდგენილ ყველა ანგარიშს, დაადასტურებს, რომ მოხდა ნარჩენების ობიექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის რეაბილიტაცია და ოპერატორს შეატყობინებს თანხმობას ნარჩენების ობიექტის დახურვის შესახებ.

აღნიშნული თანხმობა არ ამცირებს ოპერატორის ვალდებულებებს, რომლებიც შესაბამისობაში უნდა იყოს ნებართვის პირობებთან ან კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

4. ნარჩენების ობიექტის დახურვის შემდეგ, ობიექტის მოვლა, მონიტორინგი, კონტროლი და გამოსასწორებელი ზომების

shall be kept, together with permit documentation, in order to ensure the appropriate hand-over of information, particularly in the event of a change of operator.

3. The operator shall, without undue delay and in any event not later than 48 hours thereafter, notify the competent authority of any events likely to affect the stability of the waste facility and any significant adverse environmental effects revealed by the control and monitoring procedures of the waste facility. The operator shall implement the internal emergency plan, where applicable, and follow any other instruction from the competent authority as to the corrective measures to be taken.

The operator shall bear the costs of the measures to be undertaken.

At a frequency to be determined by the competent authority, and in any event at least once a year, the operator shall report, on the basis of aggregated data, all monitoring results to the competent authorities for the purposes of demonstrating compliance with permit conditions and increasing knowledge of waste and waste facility behaviour. On the basis of this report the competent authority may decide that validation by an independent expert is necessary.

Article 12

Closure and after-closure procedures for waste facilities

1. Member States shall take measures to ensure compliance with paragraphs 2 to 5.

2. A waste facility shall only start the closure procedure if one of the following conditions is satisfied:

- (a) the relevant conditions stated in the permit are met;
- (b) authorisation is granted by the competent authority, at the request of the operator;
- (c) the competent authority issues a reasoned decision to that effect.

3. A waste facility may be considered as finally closed only after the competent authority has, without undue delay, carried out a final on-site inspection, assessed all the reports submitted by the operator, certified that the land affected by a waste facility has been rehabilitated and communicated to the operator its approval of the closure.

That approval shall not in any way reduce the operator's obligations under the conditions of the permit or otherwise in law.

4. The operator shall be responsible for the maintenance, monitoring, control and corrective measures in the after-closure

გატარება წარმოადგენს ოპერატორის ვალდებულებას კომპეტენტური ორგანოს მიერ მოთხოვნილი დროის განმავლობაში, საფრთხის სასიათისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპეტენტური ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, თავად განახორციელოს აღნიშნული პროცედურები ნარჩენების ობიექტის საბოლოოდ დახურვის შემდეგ, იმ ეროვნული ან ევროგაერთიანების კანონმდებლობის მიუხედავად, რომლებიც არეგულირებს ნარჩენების მფლობელის პასუხისმგებლობის საკითხს.

5. თუ კომპეტენტური ორგანო მიიჩნევს საჭიროდ, მაშინ ნარჩენების ობიექტის დახურვის შემდეგ, ევროგაერთიანების კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოსდაცვითი მოთხოვნების, კერძოდ, 76/464/EEC, 80/68/EEC და 2000/60/EC დირექტივებში მოცემული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ოპერატორი ვალდებულია გააკონტროლოს ობიექტის ფიზიკური და ქიმიური მდგრადობა და შეამციროს ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, განსაკუთრებით, ზედაპირულ და გრუნტის წყლებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს, რომ:

- ა) ობიექტთან დაკავშირებული ყველა კონსტრუქცია იყოს შემოწმებული და დაკონსერვებული, ხოლო მაკონტროლებელი და საზომი აპარატები – მზად გამოყენებისთვის;
- ბ) საჭიროების შემთხვევაში, გადასაშვები არხი და წყალსაგდები იყოს სუფთა და თავისუფალი.

6. ნარჩენების ობიექტის დახურვის შემდეგ, ოპერატორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომპეტენტურ ორგანოს ნებისმიერი შემთხვევის ან მოვლენის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ნარჩენების ობიექტის სტაბილურობაზე, ასევე, გარემოზე მოქმედი ნებისმიერი მავნე ზემოქმედების თაობაზე, რომელიც გამოვლინდა შესაბამისი კონტროლისა და მონიტორინგის შედეგად. საჭიროების შემთხვევაში, ოპერატორმა უნდა შეასრულოს საგანგებო სიტუაციების შიდა გეგმა და იხელმძღვანელოს კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი სხვა ინსტრუქციით, რომელიც ეხება გამოსასწორებელი ზომების მიღებას.

გამოსასწორებელი ზომების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაიღოს ოპერატორმა.

კომპეტენტური ორგანოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში და სინშირით, ოპერატორი, შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, მონიტორინგის ყველა შედეგს აცნობებს კომპეტენტურ ორგანოებს ნებართვის პირობების შესაბამისობის დემონსტრირებისა და ნარჩენების ან ნარჩენების ობიექტის სასიათის შესახებ ცოდნის ამადღების მიზნით.

მუხლი 13

წყლის მდგომარეობის გაუარესების, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების პრევენცია

1. კომპეტენტური ორგანო უნდა დარწმუნდეს, რომ ოპერატორმა მიიღო შესაბამისი ზომები ევროგაერთიანების გარემოსდაცვითი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, კერძოდ, 2000/60/EC დირექტივის შესაბამისად, წყლის არსებული მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად, *inter alia*, შემდეგი გზებით:

phase for as long as may be required by the competent authority, taking into account the nature and duration of the hazard, save where the competent authority decides to take over such tasks from the operator, after a waste facility has been finally closed and without prejudice to any national or Community legislation governing the liability of the waste holder.

5. When considered necessary by the competent authority, in order to fulfil relevant environmental requirements set out in Community legislation, in particular those in Directives 76/464/EEC, 80/68/EEC and 2000/60/EC, following closure of a waste facility, the operator shall, *inter alia*, control the physical and chemical stability of the facility and minimise any negative environmental effect, in particular with respect to surface and groundwater, by ensuring that:

- (a) all the structures pertaining to the facility are monitored and conserved, with control and measuring apparatus always ready for use;
- (b) where applicable, overflow channels and spillways are kept clean and free.

6. Following closure of a waste facility, the operator shall, without delay, notify the competent authority of any events or developments likely to affect the stability of the waste facility, and any significant adverse environmental effects revealed by the relevant control and monitoring procedures. The operator shall implement the internal emergency plan, where applicable, and follow any other instruction from the competent authority as to the corrective measures to be taken.

The operator shall bear the costs of the measures to be undertaken.

In cases and at a frequency to be determined by the competent authority, the operator shall report, on the basis of aggregated data, all monitoring results to the competent authorities for the purposes of demonstrating compliance with permit conditions and increasing knowledge of waste and waste facility behaviour.

Article 13

Prevention of water status deterioration, air and soil pollution

1. The competent authority shall satisfy itself that the operator has taken the necessary measures in order to meet Community environmental standards, in particular to prevent, in accordance with Directive 2000/60/EC, the deterioration of current water status, *inter alia*, by:

- ა) ნარჩენების ობიექტის ექსპლუატაციის დროს და დახურვის შემდგომ ეტაპზე, ობიექტში განთავსებული ნარჩენებიდან ნაჟურის დაგროვების პოტენციალის, მათ შორის, ნაჟურში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების შეფასებით და ნარჩენების ობიექტის წყლის ბალანსის დადგენით;
- ბ) ნაჟურის წარმოქმნის პრევენციით ან შემცირებით, ასევე, ნიადაგის, ზედაპირული წყლის ან გრუნტის წყლების ნარჩენებით დაბინძურების შემცირებით ან პრევენციით;
- გ) ნარჩენების ობიექტიდან გამოსული დაბინძურებული წყლისა და ნაჟურის შეგროვებით და გაუვნებლყოფით მათი ჩაშვებისათვის საჭირო შესაბამისი სტანდარტის შესაბამისად.

2. კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ოპერატორის მიერ ადეკვატური ზომების მიღება მტვრისა და გაზის ემისიების პრევენციის ან შემცირებისათვის.

3. თუ კომპეტენტურმა ორგანომ, გარემოსთვის არსებული რისკების შეფასების საფუძველზე, კერძოდ, 76/464/EEC, 80/68/EEC ან 2000/60/EC დირექტივების გათვალისწინებით, გადაწყვიტა, რომ ნაჟურის შეგროვება და გაწმენდა არ არის საჭირო, ან დადგინდა, რომ ნარჩენების ობიექტი საფრთხეს არ უქმნის ნიადაგს, ზედაპირულ ან გრუნტის წყლებს, პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული მოთხოვნები შეიძლება შესაბამისად შემცირდეს ან არ იქნეს გამოყენებული.

4. წევრმა სახელმწიფოებმა მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენები, მიუხედავად მათი მყარი, სუსპენზიური ან თხევადი ფორმისა, უნდა განთავსონ ნებისმიერ წყალმიმღებ აუზში, გარდა იმისა, რომელიც აშენებულია მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების განთავსების მიზნით, ოპერატორის მიერ 76/464/EEC, 80/68/EEC და 2000/60/EC დირექტივების შესაბამისი მოთხოვნების შესრულების პირობით.

5. როდესაც მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენები კვლავ განთავსდება მოპოვების შედეგად წარმოქმნილ სიცარიელეებში, მიუხედავად იმისა, ეს სიცარიელეები წარმოქმნილია ზედაპირული თუ მიწისქვეშა მოპოვების შედეგად, და რომელთა შევსებაც ნებადართულია დახურვის შემდეგ, ოპერატორმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა წყლის მდგომარეობის გაუარესებისა და ნიადაგის დაბინძურების თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით, mutatis mutandis, პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად. ოპერატორმა კომპეტენტურ ორგანოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ევროგაერთიანების ვალდებულებების, განსაკუთრებით, 2000/60/EC დირექტივით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

6. აუზში ციანიდის არსებობის შემთხვევაში, ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ აუზში არსებული სუსტ მჟავა არეში დისოცირებადი ციანიდის კონცენტრაცია მინიმუმამდე შემცირდეს საუკეთესო ხელმისაწვდომი მეთოდის გამოყენებით, ასევე, ნარჩენების ობიექტებში, რომლებსაც ადრე ჰქონდათ ნებართვა ან უკვე მოქმედებდნენ 2008 წლის 1 მაისისთვის, სუსტ მჟავა არეში დისოცირებადი ციანიდის კონცენტრაცია გადამამუშავებელი ქარხნიდან აუზში გადმოსვლის წერტილში არ უნდა აღემატებოდეს 50 ppm 2008 წლის 1 მაისიდან, 25 ppm 2013

(a) evaluating the leachate generation potential, including contaminant content of the leachate, of the deposited waste during both the operational and after-closure phase of the waste facility, and determining the water balance of the waste facility;

(b) preventing or minimising leachate generation and surface water or groundwater and soil from being contaminated by the waste;

(c) collecting and treating contaminated water and leachate from the waste facility to the appropriate standard required for their discharge.

2. The competent authority shall ensure that the operator has taken adequate measures to prevent or reduce dust and gas emissions.

3. Where, on the basis of an assessment of environmental risks, taking into account, in particular, Directives 76/464/EEC, 80/68/EEC or 2000/60/EC, as applicable, the competent authority has decided that collection and treatment of leachate is not necessary or it has been established that the waste facility poses no potential hazard to soil, groundwater or surface water, the requirements set out in points (b) and (c) of paragraph 1 may be reduced or waived accordingly.

4. Member States shall make the disposal of extractive waste, whether in solid, slurry or liquid form, into any receiving body of water other than one constructed for the purpose of disposing of extractive waste conditional upon compliance by the operator with the relevant requirements of Directives 76/464/EEC, 80/68/EEC and 2000/60/EC.

5. When placing extractive waste back into excavation voids, whether created through surface or underground extraction, which will be allowed to flood after closure, the operator shall take the necessary measures to prevent or minimise water status deterioration and soil pollution in accordance, mutatis mutandis, with paragraphs (1) and (3). The operator shall provide the competent authority with the information necessary to ensure compliance with Community obligations, in particular those in Directive 2000/60/EC.

6. In the case of a pond involving the presence of cyanide, the operator shall ensure that the concentration of weak acid dissociable cyanide in the pond is reduced to the lowest possible level using best available techniques and, in any case, at waste facilities which have previously been granted a permit or have already been in operation on 1 May 2008 that the concentration of weak acid dissociable cyanide at the point of discharge of the tailings from the processing plant into the pond does not exceed 50 ppm as from 1 May 2008, 25 ppm as from 1 May 2013, 10

წლის 1 მაისიდან, 10 ppm 2018 წლის 1 მაისიდან და 10 ppm ნარჩენების ობიექტებში, რომლებსაც 2008 წლის 1 მაისის შემდეგ აქვთ ნებართვა.

კომპეტენტური ორგანოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, ოპერატორმა, რისკის შეფასების გზით, რომელიც ითვალისწინებს სპეციფიკურ პირობებს, უნდა აჩვენოს, რომ არ არსებობს ამ კონცენტრაციის უფრო მეტად შემცირების საჭიროება.

მუხლი 14
ფინანსური გარანტია

1. კომპეტენტური ორგანო ვალდებულია, ნარჩენების ობიექტში მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების დაგროვებასთან ან განთავსებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის დაწყებამდე, მოითხოვოს ფინანსური გარანტია (მაგალითად, ფინანსური დეპოზიტის სახით, ინდუსტრიის მიერ დაფინანსებული ურთიერთგარანტიის ფონდების ჩათვლით) ან ეკვივალენტი, წევრი სახელმწიფოების მიერ გადასაწყვეტი პროცედურების შესაბამისად, იმ პირობით, რომ:

- ა) სრულდება ამ ღირებულების შესაბამისად გაცემული ნებართვით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, მათ შორის, დახურვის შემდგომი დებულებები;
- ბ) ნებისმიერ დროს არის ხელმისაწვდომი ნარჩენების ობიექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხები, როგორც ეს აღწერილია ნარჩენების მართვის გეგმაში, რომელიც მომზადებულია მე-5 მუხლის შესაბამისად და რომელიც საჭიროებს მე-7 მუხლით დადგენილ ნებართვას.

2. პირველ პუნქტში მითითებული გარანტიის გაანგარიშება ხდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ა) ნარჩენების ობიექტის გარემოზე სავარაუდო ზემოქმედება, განსაკუთრებით, ნარჩენების ობიექტის კატეგორიის, ნარჩენების მახასიათებლებისა და რეაბილიტირებული მიწის სამომავლო გამოყენების გათვალისწინებით;
- ბ) დაშვება, რომ დამოუკიდებელი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მესამე პირები შეაფასებენ და განახორციელებენ ყველა აუცილებელ სარეაბილიტაციო სამუშაოს.

3. გარანტიის ფარგლების პერიოდული კორექტირება უნდა მოხდეს ნარჩენების ობიექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწაზე საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოების შესაბამისად, როგორც ეს აღწერილია ნარჩენების მართვის გეგმაში, რომელიც მომზადებულია მე-5 მუხლის შესაბამისად და რომელიც საჭიროებს მე-7 მუხლით დადგენილ ნებართვას.

4. თუ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კომპეტენტური ორგანო ამტკიცებს ობიექტის დახურვას, იგი ოპერატორს წარუდგენს წერილობით განცხადებას, რომლითაც ორგანო ოპერატორს ათავისუფლებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საგარანტიო ვალდებულებებისაგან, გარდა დახურვის შემდგომი ვალდებულებებისა, რაც მოცემულია მე-12 მუხლის მე-4 პუნქტში.

მუხლი 15

ppm as from 1 May 2018 and 10 ppm at waste facilities which are granted a permit after 1 May 2008.

If the competent authority so requests, the operator shall demonstrate, through a risk assessment that takes site-specific conditions into account, that those concentration limits need not be further lowered.

Article 14
Financial guarantee

1. The competent authority shall, prior to the commencement of any operations involving the accumulation or deposit of extractive waste in a waste facility, require a financial guarantee (e.g. in the form of a financial deposit, including industry-sponsored mutual guarantee funds) or equivalent, in accordance with procedures to be decided by the Member States, so that:

- (a) all obligations under the permit issued pursuant to this Directive, including after-closure provisions, are discharged;
- (b) there are funds readily available at any given time for the rehabilitation of the land affected by the waste facility, as described in the waste management plan prepared pursuant to Article 5 and required by the Article 7 permit.

2. The calculation of the guarantee referred to in paragraph 1 shall be made on the basis of:

- (a) the likely environmental impact of the waste facility, taking into account in particular the category of the waste facility, the characteristics of the waste and the future use of the rehabilitated land;
- (b) the assumption that independent and suitably qualified third parties will assess and perform any rehabilitation work needed.

3. The size of the guarantee shall be periodically adjusted in accordance with any rehabilitation work needed to be carried out on the land affected by the waste facility, as described in the waste management plan prepared pursuant to Article 5 and required by the Article 7 permit.

4. Where the competent authority approves closure in accordance with Article 12(3), it shall provide the operator with a written statement releasing him from the guarantee obligation referred to in paragraph 1 of this Article with the exception of after-closure obligations as referred to in Article 12(4).

Article 15

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

2004/35/EC დირექტივის III დანართს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„13. მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მართვა, მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის 2006/21/EC დირექტივის შესაბამისად“²¹.

მუხლი 16

ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

1. თუ წევრი სახელმწიფო, სადაც მდებარეობს ნარჩენების ობიექტი, არის ინფორმირებული, რომ A კატეგორიის ნარჩენების ობიექტის ექსპლუატაცია შეიძლება მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ახდენდეს სხვა წევრი სახელმწიფოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, ან თუ ამას ითხოვს წევრი სახელმწიფო, რომელიც, სავარაუდოდ, დაზარალდება, იმ წევრმა სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც მე-7 მუხლის შესაბამისად წარდგენილია განცხადება ნებართვის მიღების შესახებ, სხვა წევრ სახელმწიფოს უნდა გადაუზავნოს ამ მუხლის შესაბამისად მიწოდებული ინფორმაცია და, ამავდროულად, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს საკუთარი მოქალაქეებისთვის.

აღნიშნული ინფორმაცია უნდა გახდეს ნებისმიერი საჭირო კონსულტაციის საფუძველი, რომელიც აუცილებელია ორ წევრ ქვეყანას შორის თანასწორობის საწყისებზე აგებული ორმხრივი ურთიერთობისთვის.

2. ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განაცხადები შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, ასევე, იყოს ხელმისაწვდომი იმ წევრი სახელმწიფოს დაინტერესებული საზოგადოებისთვის, რომელზეც შეიძლება იქონიოს გავლენა. ასევე, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, კომპეტენტური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე წარადგინონ კომენტარი განაცხადზე.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნარჩენების ობიექტზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ავარიის დროს, ოპერატორის მიერ კომპეტენტური ორგანოსთვის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მიწოდებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაეზავნება სხვა წევრ სახელმწიფოს იმ მიზნით, რომ შემცირდეს ავარიების შედეგების ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და შეფასდეს და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გარემოსთვის მიყენებული ფაქტობრივი ან პოტენციური ზიანი.

მუხლი 17

ინსპექტირება კომპეტენტური ორგანოს მიერ

1. ნარჩენების განთავსების დაწყებამდე და მის შემდეგ რეგულარული ინტერვალებით, დახურვის შემდგომი ფაზის ჩათვლით, წევრი სახელმწიფოს გადაწყვეტილების შესაბამისად, კომპეტენტური ორგანო ამოწმებს მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ნარჩენების ნებისმიერ ობიექტს, რათა

Environmental liability

The following point shall be added to Annex III of Directive 2004/35/EC as follows: “13. The management of extractive waste pursuant to Directive 2006/21/EC of the European Parliament and of the Council of 15 March 2006 on the management of waste from extractive industries ⁽²³⁾.”

Article 16

Transboundary effects

1. Where a Member State in which a waste facility is situated is aware that the operation of a Category A waste facility is likely to have significant adverse effects on the environment of, and any resultant risks to human health in, another Member State, or where a Member State likely to be thus affected so requests, the Member State in whose territory the application for a permit pursuant to Article 7 was submitted shall forward the information provided pursuant to that Article to the other Member State at the same time as it makes it available to its own nationals.

Such information shall serve as a basis for any consultation necessary within the context of bilateral relations between the two Member States on a reciprocal and equivalent basis.

2. Within the framework of their bilateral relations, Member States shall ensure that in the cases referred to in paragraph 1 the applications are also made available for an appropriate period of time to the public concerned of the Member State likely to be affected so that they will have the right to comment on them before the competent authority reaches its decision.

3. Member States shall ensure that, in the event of an accident involving a waste facility as referred to in paragraph 1 of this Article, information provided by the operator to the competent authority pursuant to Article 6(4) is immediately forwarded to the other Member State in order to help minimise the consequences of the accident for human health and to assess and minimise the extent of the actual or potential environmental damage.

Article 17

Inspections by the competent authority

1. Prior to the commencement of deposit operations and at regular intervals thereafter, including the after-closure phase, to be decided by the Member State concerned, the competent authority shall inspect any waste facility covered by Article 7 in order to ensure that it complies with the relevant conditions of

დაადგინოს მათი შესაბამისობა ნებართვის შესაბამის პირობებთან. დადებითი დასკვნა არანაირად არ ამცირებს ოპერატორის პასუხისმგებლობას, რაც განსაზღვრულია ნებართვის პირობებით.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოსთხოვონ ოპერატორს, აწარმოოს მუდმივად განახლებადი ჩანაწერები ნარჩენების მართვის ყველა ოპერაციის შესახებ და ხელმისაწვდომი გახადოს ისინი კომპეტენტური ორგანოს მიერ შემოწმების მიზნით და უზრუნველყოს, რომ ნარჩენების ობიექტის მართვის დროს ოპერატორის შეცვლის შემთხვევაში, მოხდება ნარჩენების ობიექტთან დაკავშირებული შესაბამისი განახლებული ინფორმაციისა და ჩანაწერების გადაცემა.

**მუხლი 18
ანგარიშების ვალდებულება**

1. სამი წლის ინტერვალით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიაწოდონ კომისიას ანგარიში ამ დირექტივის შესრულების შესახებ. ანგარიში დგება კითხვარის ან გეგმის საფუძველზე, რომელსაც კომისია მიიღებს 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. კომისიას ანგარიში გადაეცემა მასში ასახული 3-წლიანი პერიოდის დასრულებიდან 9 თვის განმავლობაში.

აღნიშნული დირექტივის შესრულების შესახებ ანგარიშს კომისია აქვეყნებს წევრი სახელმწიფოებისგან ანგარიშების მიღებიდან 9 თვის განმავლობაში.

2. წევრი სახელმწიფოები კომისიას ყოველწლიურად გადასცემენ ინფორმაციას ოპერატორების მიერ მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მიწოდებული საკითხების თაობაზე. მოთხოვნის შემთხვევაში, კომისია უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას წევრი სახელმწიფოებისთვის. თავის მხრივ, წევრმა სახელმწიფოებმა აღნიშნული ინფორმაცია, მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა გახადონ დაინტერესებული საზოგადოების წევრებისათვის გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის შესახებ ევროგაერთიანების კანონის მეზღუდვის გარეშე.

**მუხლი 19
ჯარიმები**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ამ დირექტივის შესაბამისად მიღებული ეროვნული კანონმდებლობის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრების წესი და მიიღონ ყველა საჭირო ზომა მათი შესრულების უზრუნველსაყოფად. გათვალისწინებული ჯარიმები უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი.

**მუხლი 20
ნარჩენების დახურული ობიექტების ინვენტარიზაცია**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათ ტერიტორიაზე განლაგებული იმ ნარჩენების დახურული და მიტოვებული ობიექტების ინვენტარიზაცია და პერიოდული განახლება, რომლებიც სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე ან აქვს საშუალო ან მოკლევადიან პერსპექტივაში

the permit. An affirmative finding shall in no way reduce the responsibility of the operator under the conditions of the permit.

2. Member States shall require the operator to keep up-to-date records of all waste management operations and make them available for inspection by the competent authority and to ensure that, in the event of a change of operator during the management of a waste facility, there is an appropriate transfer of relevant up-to-date information and records relating to the waste facility.

**Article 18
Obligation to report**

1. At intervals of three years Member States shall transmit to the Commission a report on the implementation of this Directive. The report shall be drawn up on the basis of a questionnaire or outline to be adopted by the Commission in accordance with the procedure referred to in Article 23(2). The report shall be transmitted to the Commission within nine months of the end of the three-year period covered by it.

The Commission shall publish a report on the implementation of this Directive within nine months of receiving the reports from the Member States.

2. Every year Member States shall transmit to the Commission information on events notified by the operators in accordance with Articles 11(3) and 12(6). The Commission shall make this information available to the Member States upon request. Without prejudice to Community law on public access to environmental information, Member States shall in their turn make the information available to members of the public concerned on request.

**Article 19
Penalties**

The Member States shall lay down rules on penalties for infringement of the provisions of national law adopted pursuant to this Directive and shall take all measures necessary to ensure that they are implemented. The penalties provided for shall be effective, proportionate and dissuasive.

**Article 20
Inventory of closed waste facilities**

Member States shall ensure that an inventory of closed waste facilities, including abandoned waste facilities, located on their territory which cause serious negative environmental impacts or have the potential of becoming in the medium or short term a serious threat to human health or the environment is drawn up

ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის სერიოზულ საფრთხედ ქვევის პოტენციალი. ასეთი ინვენტარიზაცია, რომლის შედეგებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის, უნდა განხორციელდეს 2012 წლის 1 მაისამდე, 21-ე მუხლში მითითებული მეთოდოლოგიების გათვალისწინებით, თუ ეს შესაძლებელია.

**მუხლი 21
ინფორმაციის გაცვლა**

1. კომისია, რომელსაც დახმარებას უწევს 23-ე მუხლში მითითებული კომიტეტი, უზრუნველყოფს, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის განხორციელდეს ტექნიკური და სამეცნიერო ინფორმაციის შესაბამისი გაცვლა მეთოდოლოგიების შესამუშავებლად, რომლებიც შეეხება:

- ა) მე-20 მუხლის განხორციელებას;
- ბ) მე-20 მუხლით განსაზღვრული ნარჩენების დახურული ობიექტების რეაბილიტაციას მე-4 მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ასეთი მეთოდოლოგიები შესაძლებელს გახდის, შეიქმნას რისკის შეფასების ყველაზე შესაფერისი პროცედურები და გამოსასწორებელი საშუალებები ევროპაში გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და კლიმატური მახასიათებლების ცვალებადობის გათვალისწინებით.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურმა ორგანომ თვალყური ადევნოს ან იყოს ინფორმირებული საუკეთესო ხელმისაწვდომი მეთოდების განვითარების შესახებ.

3. კომისია ორგანიზებას გაუწევს ინფორმაციის გაცვლას წევრ სახელმწიფოებსა და დაინტერესებულ ორგანიზაციებს შორის საუკეთესო ხელმისაწვდომი მეთოდების, შესაბამისი მონიტორინგისა და მათი განვითარების შესახებ. კომისიამ უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაციის გაცვლის შედეგები.

მუხლი 22

1. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად, კომისია მიიღებს:

- ა) დებულებებს, რომლებიც საჭიროა მე-7 მუხლის მე-5 პუნქტში და მე-12 მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული ინფორმაციის ჰარმონიზაციისა და რეგულარული გადაცემისათვის;
- ბ) ფინანსური გარანტიის დამდგენ მეთოდურ სახელმძღვანელო მითითებებს მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად;
- გ) ინსპექტირების მეთოდურ სახელმძღვანელო მითითებებს მე-17 მუხლის შესაბამისად.

2. კომისიამ, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტების პრიორიტეტულად გათვალისწინებით, უნდა დაადგინოს დებულებები, რომლებიც საჭიროა:

ა) მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის განხორციელებისთვის, მეთოდური მოთხოვნების ჩათვლით, რომელიც ეხება სუსტ მჟავა არემი დისოცირებადი ციანიდის და მისი გაზომვის მეთოდის განსაზღვრას;

and periodically updated. Such an inventory, to be made available to the public, shall be carried out by 1 May 2012, taking into account the methodologies as referred to in Article 21, if available.

**Article 21
Exchange of information**

1. The Commission, assisted by the Committee referred to in Article 23, shall ensure that there is an appropriate exchange of technical and scientific information between Member States, with a view to developing methodologies relating to:

- (a) the implementation of Article 20;
- (b) the rehabilitation of those closed waste facilities identified under Article 20 in order to satisfy the requirements of Article 4. Such methodologies shall allow for the establishment of the most appropriate risk assessment procedures and remedial actions having regard to the variation of geological, hydrogeological and climatological characteristics across Europe.

2. Member States shall ensure that the competent authority follows or is informed of developments in best available techniques.

3. The Commission shall organise an exchange of information between Member States and the organisations concerned on best available techniques, associated monitoring and developments in them. The Commission shall publish the results of the exchange of information.

Article 22

1. The Commission shall, in accordance with the regulatory procedure referred to in Article 23(2), adopt the following:

- (a) provisions necessary for the harmonisation and regular transmission of the information referred to in Article 7(5) and Article 12(6);
- (b) technical guidelines for the establishment of the financial guarantee in accordance with the requirements of Article 14(2);
- (c) technical guidelines for inspections in accordance with Article 17.

2. The Commission shall lay down provisions necessary for the following, prioritising points (b), (c) and (d):

- (a) the implementation of Article 13(6), including technical requirements relating to the definition of weak acid dissociable cyanide and its measurement method;
- (b) the completion of the technical

ბ) მეთოდური მოთხოვნების შესრულებისთვის II დანართში მოცემული ნარჩენების მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით;

გ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული განსაზღვრების განმარტებისთვის;

დ) ნარჩენების ობიექტების კლასიფიკაციის კრიტერიუმების განსაზღვრისთვის III დანართის შესაბამისად;

ე) ამ დირექტივის მეთოდური განხორციელებისათვის საჭირო შერჩევისა და ანალიზის მეთოდების ნებისმიერი შეთანხმებული სტანდარტის განსაზღვრისთვის.

აღნიშნული ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს ამ დირექტივის არაარსებითი ელემენტების ცვლილებას, მათ შორის, მათი შევსების გზით, მიიღება 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად, დეტალური შემოწმების შედეგად.

3. აუცილებელ ცვლილებებს კომისია შეიტანს დანართებში, მათი სამეცნიერო და ტექნიკურ პროგრესთან ადაპტირების მიზნით. ამ ცვლილებების მიზანი უნდა იყოს გარემოს დაცვის მაღალი დონის მიღწევა.

ეს ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს ამ დირექტივის არაარსებითი ელემენტების ცვლილებას, მიიღება 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად, დეტალური შემოწმების შედეგად.

**მუხლი 23
კომიტეტი**

1. კომისიას დახმარებას გაუწევს კომიტეტი, რომელიც შეიქმნა 75/442/EEC დირექტივის მე-18 მუხლის შესაბამისად, შემდგომში – კომიტეტი.
2. ამ მუხლზე მითითების შემთხვევაში, გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 და მე-7 მუხლები, მისი მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით. 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვადა შეადგენს 3 თვეს.
3. ამ მუხლზე მითითების შემთხვევაში, გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის პირველი და მე-4 ქვეპუნქტები, მისი მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.

**მუხლი 24
გარდამავალი დებულებები**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნარჩენების ნებისმიერი ობიექტი, რომელსაც მიენიჭა ნებართვა ან რომელიც 2008 წლის 1 მაისისთვის უკვე ფუნქციონირებს, შესაბამებოდეს ამ დირექტივის დებულებებს 2012 წლის 1 მაისამდე, გარდა მე-14 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ობიექტებისა, რომელთა შესაბამისობაც უნდა დადგინდეს 2014 წლის 1 მაისამდე, ასევე, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული ობიექტებისა, რომელთა შესაბამისობაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მასში მოცემული გრაფიკის მიხედვით.
2. პირველი პუნქტი არ ვრცელდება 2008 წლის 1 მაისამდე დახურულ ნარჩენების ობიექტებზე.

- requirements for waste characterization contained in Annex II;
- (c) the interpretation of the definition contained in point 3 of Article 3;
- (d) the definition of the criteria for the classification of waste facilities in accordance with Annex III;
- (e) the determination of any harmonised standards for sampling and analysis methods needed for the technical implementation of this Directive.

Those measures, designed to amend non-essential elements of this Directive, inter alia, by supplementing it, shall be adopted in accordance with the regulatory procedure with scrutiny referred to in Article 23(3).

3. The Commission shall make the necessary amendments to the Annexes for the purpose of adapting them to scientific and technical progress. Those amendments shall be made with a view to achieving a high level of environmental protection. Those measures, designed to amend non-essential elements of this Directive, shall be adopted in accordance with the regulatory procedure with scrutiny referred to in Article 23(3).

**Article 23
Committee**

1. The Commission shall be assisted by the Committee established by Article 18 of Directive 75/442/EEC, hereinafter ‘the Committee’.
2. Where reference is made to this paragraph, Articles 5 and 7 of Decision 1999/468/EC shall apply, having regard to the provisions of Article 8 thereof. The period laid down in Article 5(6) of Decision 1999/468/EC shall be set at three months.
3. Where reference is made to this paragraph, Article 5a(1) to (4) and Article 7 of Decision 1999/468/EC shall apply, having regard to the provisions of Article 8 thereof.

**Article 24
Transitional provision**

1. Member States shall ensure that any waste facility which has been granted a permit or which is already in operation on 1 May 2008 complies with the provisions of this Directive by 1 May 2012, except for those set out in Article 14(1) for which compliance must be ensured by 1 May 2014 and for those set out in Article 13(6) for which compliance must be ensured in accordance with the timetable laid down therein.
2. Paragraph 1 shall not apply to waste facilities closed by 1 May 2008.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ 2006 წლის 1 მაისიდან, ამ თარიღიდან მოყოლებული 2008 წლის 1 მაისამდე ნარჩენების ობიექტის დახურვის მიუხედავად, მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მართვა მოხდება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს არც ამ დირექტივის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესრულებას და არც სხვა მოქმედ გარემოსდაცვით მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია ევროგაერთიანების კანონმდებლობაში, მათ შორის, 2000/60/EC დირექტივაში.

4. მე-5 მუხლის, მე-6 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების, მე-7 და მე-8 მუხლების, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-14 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება ნარჩენების იმ ობიექტებზე, რომლებიც:

- 2006 წლის პირველი მაისის შემდეგ აღარ იღებენ ნარჩენებს;
- ამთავრებენ დახურვის პროცედურებს შესაბამისი საზოგადოების ან ეროვნული კანონმდებლობის ან კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად, და
- პრაქტიკულად დაიხურებიან 2010 წლის 31 დეკემბრისთვის.

ასეთი შემთხვევების თაობაზე, წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა აცნობონ 2008 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით და უზრუნველყონ, რომ ამ ობიექტების მართვა მოხდეს ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ამ დირექტივის და, განსაკუთრებით, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებს, ასევე, ნებისმიერ სხვა საზოგადოებრივ კანონმდებლობას, 2000/60/EC დირექტივის ჩათვლით.

**მუხლი 25
ტრანსპოზიცია**

1. წევრმა სახელმწიფოებმა, 2008 წლის 1 მაისამდე უნდა ამოქმედონ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც აუცილებელია ამ დირექტივის შესასრულებლად. აღნიშნულის შესახებ მათ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიას.

როდესაც წევრი სახელმწიფოები მიიღებენ ამ ზომებს, ზომები უნდა შეიცავდეს მითითებას ამ დირექტივაზე ან თან უნდა ერთვოდეს ასეთი მითითება ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში. ასეთი მითითების გაკეთების მეთოდებს ადგენენ წევრი სახელმწიფოები.

2. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა გააცნონ ეროვნული კანონმდებლობის დებულებები, რომელიც მათ მიიღეს ამ დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში.

**მუხლი 26
ძალაში შესვლა**

აღნიშნული დირექტივა ამოქმედდეს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.

**მუხლი 27
ადრესატები**

აღნიშნული დირექტივა ეხება წევრ სახელმწიფოებს.

1 დანართი

3. Member States shall ensure that, from 1 May 2006 and notwithstanding any closure of a waste facility after that date and before 1 May 2008, extractive waste is managed in a way that does not prejudice the fulfilment of Article 4(1) of this Directive, and other applicable environmental requirements set out in Community legislation, including Directive 2000/60/EC.

4. Articles 5, 6(3) to (5), 7, 8, 12(1) and (2) and 14(1) to (3) shall not apply to those waste facilities that:

- stopped accepting waste before 1 May 2006,
- are completing the closure procedures in accordance with the applicable Community or national legislation or programmes approved by the competent authority, and
- will be effectively closed by 31 December 2010.

Member States shall notify such cases to the Commission by 1 August 2008 and ensure that these facilities are managed in a way that does not prejudice the achievement of the objectives of this Directive, in particular the objectives of Article 4(1), and those of any other Community legislation, including Directive 2000/60/EC.

**Article 25
Transposition**

1. Member States shall bring into force the laws, regulations and administrative provisions necessary to comply with this Directive before 1 May 2008. They shall forthwith inform the Commission thereof.

When Member States adopt these measures, they shall contain a reference to this Directive or shall be accompanied by such reference on the occasion of their official publication. The methods of making such reference shall be laid down by Member States.

2. Member States shall communicate to the Commission the text of the provisions of national law which they adopt in the field covered by this Directive.

**Article 26
Entry into force**

This Directive shall enter into force on the 20th day following its publication in the *Official Journal of the European Union*.

**Article 27
Addressees**

This Directive is addressed to the Member States.

ANNEX I

დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკა და ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული საზოგადოებისთვის

1. დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკა

ოპერატორის დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკა და უსაფრთხოების მართვის სისტემა უნდა იყოს ნარჩენების ობიექტისგან მომდინარე დიდი ავარიების საფრთხის პროპორციული. მათ განსახორციელებლად მხედველობაში მიიღება შემდეგი ელემენტები:

1) დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ოპერატორის ზოგად მიზნებს და მოქმედების პრინციპებს, დიდი ავარიების საფრთხეების კონტროლის მიზნით;

2) უსაფრთხოების მართვის სისტემა უნდა მოიცავდეს ზოგადი მართვის სისტემის ნაწილს, რომელიც ფარავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, პასუხისმგებლობას, პრაქტიკას, პროცედურებს, პროცესებსა და რესურსებს, დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების მიზნით;

3) უსაფრთხოების მართვის სისტემა უნდა მოიცავდეს შემდეგი საკითხებს:

ა) ორგანიზაცია და პერსონალი – პერსონალის როლი და პასუხისმგებლობები, რომლებიც მონაწილეობენ ორგანიზაციის მნიშვნელოვანი საფრთხეების მართვაში ყველა დონეზე; ამ პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირება და ამ გზით გამოვლენილ საკითხებზე ტრენინგის უზრუნველყოფა; თანამშრომლების და, საჭიროების შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორების ჩართულობა;

ბ) მნიშვნელოვანი საფრთხეების იდენტიფიცირება და შეფასება – ნორმალური და არანორმალური ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი მნიშვნელოვანი საფრთხეების სისტემური იდენტიფიცირების პროცედურების მიღება და განხორციელება, ასევე, მათი ალბათობისა და სიმძიმის შეფასება;

გ) ოპერატიული კონტროლი – უსაფრთხო ოპერირებისათვის, მათ შორის, საწარმოს მომსახურებისათვის, პროცესებისათვის, აღჭურვილობისა და დროებითი შეფერხებებისათვის - პროცედურებისა და ინსტრუქციების მიღება და განხორციელება;

დ) ცვლილებების მართვა – ნარჩენების ახალი ობიექტების დაპროექტების ან მოდიფიკაციის დაგეგმვის პროცედურების მიღება და განხორციელება;

ე) დაგეგმვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში – ისეთი პროცედურების მიღება და დანერგვა, რომლითაც მოხდება მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების იდენტიფიცირება სისტემატური ანალიზის გზით, და საგანგებო სიტუაციების გეგმის მომზადება, შემოწმება და გადახედვა ასეთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის;

ვ) საქმიანობის მონიტორინგი – ოპერატორის დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის მიზნებთან შესაბამისობის დამდგენი პროცედურების მიღება და დანერგვა, ასევე, შეუსაბამობის

Major-accident prevention policy and information to be communicated to the public concerned

1. Major-accident prevention policy

The operator's major-accident prevention policy and safety management system should be proportionate to the major-accident hazards presented by the waste facility. For the purpose of implementing them, account shall be taken of the following elements:

(1) the major-accident prevention policy should include the operator's overall aims and principles of action with respect to the control of major-accident hazards;

(2) the safety management system should include the part of the general management system which includes the organisational structure, responsibilities, practices, procedures, processes and resources for determining and implementing the major-accident prevention policy;

(3) the following issues shall be addressed by the safety management system:

(a) organisation and personnel — the roles and responsibilities of personnel involved in the management of major hazards at all levels in the organisation; identification of training needs of such personnel and the provision of the training so identified; and involvement of employees and, where appropriate, subcontractors;

(b) identification and evaluation of major hazards — adoption and implementation of procedures for systematically identifying major hazards arising from normal and abnormal operations and assessment of their likelihood and severity;

(c) operational control — adoption and implementation of procedures and instructions for safe operation, including maintenance of plant, processes, equipment and temporary stoppages;

(d) management of change — adoption and implementation of procedures for planning modifications to, or the design of, new waste facilities;

(e) planning for emergencies — adoption and implementation of procedures to identify foreseeable emergencies by systematic analysis and to prepare, test and review emergency plans to respond to such emergencies;

(f) monitoring performance — adoption and implementation of procedures for the ongoing assessment of compliance with the objectives set by the operator's major-accident prevention policy and safety management system, and the mechanisms for

შემთხვევაში, გამოძიებისა და შესწორების მექანიზმების მიღება და დანერგვა. პროცედურები უნდა მოიცავდეს ოპერატორის მიერ დიდი ავარიების ან მსგავსი ინციდენტების შესახებ ინფორმირების სისტემას, განსაკუთრებით, დამცავი ზომების გაუმართაობის შესახებ, და მათი გამოძიებისა და მიღებული გამოცდილების საფუძველზე შესაბამისი ზომების გატარების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას;

ზ) აუდიტი და გადახედვა – დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკის და უსაფრთხოების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და შესაბამისობის პერიოდული სისტემური შეფასების პროცედურების მიღება და დანერგვა; პოლიტიკისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის საქმიანობის დოკუმენტირებული მიმოხილვა და მისი განახლება უფროსი მენეჯმენტის მიერ.

2. ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული საზოგადოებისთვის

- 1) ოპერატორის ვინაობა და ნარჩენების ობიექტის მისამართი.
- 2) ინფორმაციის გამცემი პირის იდენტიფიცირება დაკავებული პოზიციის მიხედვით.
- 3) დადასტურება, რომ ნარჩენების ობიექტი ექვემდებარება ამ დირექტივის რეგულაციებს და/ან ადმინისტრაციულ დებულებებს, ასევე დადასტურება, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ინფორმაცია შესაბამისი ელემენტების შესახებ გადაეცა კომპეტენტურ ორგანოს.
- 4) მარტივი და გასაგები ენით განმარტება უბანზე/საიტზე განხორციელებული საქმიანობის ან აქტივობების თაობაზე.
- 5) ნარჩენების ობიექტში არსებული ნივთიერებებისა და პრეპარატების ზოგადი სახელები ან გვაროვნული (ჯენერიკ) სახელები ან საშიშროების ზოგადი კლასიფიკაცია, ასევე ნარჩენები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დიდი ავარიები, მათი ძირითადი სახიფათო მახასიათებლების მითითებით.
- 6) ზოგადი ინფორმაცია, რომელიც ეხება დიდი ავარიების საფრთხეების ხასიათს, მათ შორის, მათ პოტენციურ ზემოქმედებას გარშემომყოფ მოსახლეობასა და გარემოზე.
- 7) ადეკვატური ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოხდეს დაინტერესებული გარშემომყოფი მოსახლეობის გაფრთხილება და ინფორმირება დიდი ავარიების შემთხვევაში.
- 8) ადეკვატური ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოიქცეს და რა მოიმოქმედოს დაინტერესებულმა მოსახლეობამ დიდი ავარიების შემთხვევაში.
- 9) დადასტურება, რომ ოპერატორმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები უბანზე/საიტზე დიდ ავარიებთან გამკლავების და მათი შედეგების შემცირების მიზნით, განსაკუთრებით ჰქონდეს კავშირი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.
- 10) მითითება საგანგებო სიტუაციების გარე გეგმაზე, რომელიც შედგენილია ავარიის შედეგად გამოწვეული ნებისმიერი გარე შედეგების დასაძლევად. აღნიშნული უნდა შეიცავდეს რჩევას

investigation and taking corrective action in case of non-compliance. The procedures should cover the operator's system for reporting major accidents or near misses, particularly those involving failure of protective measures, and their investigation and follow-up on the basis of lessons learnt;

(g) audit and review — adoption and implementation of procedures for periodic systematic assessment of the major-accident prevention policy and the effectiveness and suitability of the safety management system; the documented review of performance of the policy and safety management system and its updating by senior management.

2. Information to be communicated to the public concerned

- (1) Name of operator and address of the waste facility.
- (2) Identification, by position held, of the person providing the information.
- (3) Confirmation that the waste facility is subject to the regulations and/or administrative provisions implementing this Directive and, when applicable, that the information relevant to the elements referred to in Article 6(2) has been submitted to the competent authority.
- (4) An explanation in clear and simple terms of the activity or activities undertaken at the site.
- (5) The common names or the generic names or the general danger classification of the substances and preparations involved at the waste facility as well as waste which could give rise to a major accident, with an indication of their principal dangerous characteristics.
- (6) General information relating to the nature of the major-accident hazards, including their potential effects on the surrounding population and environment.
- (7) Adequate information on how the surrounding population concerned are to be warned and kept informed in the event of a major accident.
- (8) Adequate information on the actions the population concerned should take, and on the behaviour they should adopt, in the event of a major accident.
- (9) Confirmation that the operator is required to make adequate arrangements on site, in particular liaison with the emergency services, to deal with major accidents and to minimise their effects.
- (10) A reference to the external emergency plan drawn up to cope with any off-site effects from an accident. This should

ავარიის დროს გადაუდებელი დახმარების სამსახურების ნებისმიერ ინსტრუქციის ან თხოვნის შესრულების შესახებ.

11) დეტალები, თუ სად შეიძლება სხვა შესაბამისი ინფორმაციის მიღება, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული კონფიდენციალურობის მოთხოვნების შესაბამისად.

II დანართი

ნარჩენების მახასიათებლები

ობიექტში შესანახ ნარჩენებს უნდა ჰქონდეს ისეთი მახასიათებლები, რომ უზრუნველყოს ობიექტის სტრუქტურის გრძელვადიანი ფიზიკური და ქიმიური მდგრადობა და დიდი ავარიების პრევენცია. ნარჩენების მახასიათებლები, საჭიროების შემთხვევაში, და ნარჩენების ობიექტის კატეგორიის შესაბამისად, მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- 1) შესანახი ნარჩენების მოსალოდნელი ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლების აღწერას ახლო და შორეულ პერსპექტივაში, განსაკუთრებული მითითებით ზედაპირულ ატმოსფერულ/მეტეოროლოგიურ პირობებში მათ მდგრადობაზე, მინერალის ან მოსაპოვებელი მინერალების ტიპის გათვალისწინებით, ასევე, ნებისმიერი მფარავი ქანის და/ან ძარღვეული ქანების ბუნების მხედველობაში მიღებით, რომლებიც ადგილს შეიცვლის მოპოვების დროს;
- 2) ნარჩენების კლასიფიკაციის 2000/532/EC გადაწყვეტილების²² შესაბამისი ჩანაწერის მიხედვით, მათი სახიფათო მახასიათებლების გათვალისწინებით.
- 3) მინერალური რესურსის დამუშავებისას გამოსაყენებელი ქიმიური ნივთიერებების აღწერას და მათ სტაბილურობას.
- 4) განთავსების მეთოდების აღწერას.
- 5) ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის საჭირო სისტემას.

III დანართი

ნარჩენების ობიექტების კლასიფიკაციის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

ნარჩენების ობიექტი კლასიფიცირდება A კატეგორიაში, თუ:

- ხარვეზიანმა ან ჩაშლილმა ოპერაციამ, მაგალითად, გროვის ჩამოშლამ ან კაშხლის გარღვევამ, შეიძლება გამოიწვიოს დიდი ავარია, რისკის შეფასებისას ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა ნარჩენების ობიექტის ახლანდელი ან მომავალი ზომა, ადგილმდებარეობა და გარემოზე ზემოქმედება; ან
- იგი შეიცავს გარკვეულ ზღვარზე მეტ ნარჩენებს, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც სახიფათო 91/689/EEC დირექტივის შესაბამისად; ან
- იგი შეიცავს გარკვეულ ზღვარზე მეტ ნივთიერებებს ან პრეპარატებს, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც სახიფათო 67/548/EEC ან 1999/45/EC დირექტივების შესაბამისად.

ევროპარლამენტის, საბჭოსა და კომისიის განცხადება

include advice to co-operate with any instructions or requests from the emergency services at the time of an accident.

(11) Details of where further relevant information can be obtained, subject to the requirements of confidentiality laid down in national legislation.

ANNEX II

Waste characterisation

The waste to be deposited in a facility shall be characterised in such a way as to guarantee the long-term physical and chemical stability of the structure of the facility and to prevent major accidents. The waste characterisation shall include, where appropriate and in accordance with the category of the waste facility, the following aspects:

- (1) description of expected physical and chemical characteristics of the waste to be deposited in the short and the long term, with particular reference to its stability under surface atmospheric/meteorological conditions, taking account of the type of mineral or minerals to be extracted and the nature of any overburden and/or gangue minerals that will be displaced in the course of the extractive operations;
- (2) classification of the waste according to the relevant entry in Decision 2000/532/EC (1), with particular regard to its hazardous characteristics;
- (3) description of the chemical substances to be used during treatment of the mineral resource and their stability;
- (4) description of the method of deposition;
- (5) waste transport system to be employed.

ANNEX III

Criteria for determining the classification of waste facilities

A waste facility shall be classified under category A if:

- a failure or incorrect operation, e.g. the collapse of a heap or the bursting of a dam, could give rise to a major accident, on the basis of a risk assessment taking into account factors such as the present or future size, the location and the environmental impact of the waste facility; or
- it contains waste classified as hazardous under Directive 91/689/EEC above a certain threshold; or
- it contains substances or preparations classified as dangerous under Directives 67/548/EEC or 1999/45/EC above a certain threshold.

STATEMENT BY THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL

AND THE COMMISSION

ევროპარლამენტი, საბჭო და კომისია მიესალმებიან ბულგარეთისა და რუმინეთის ერთობლივ დეკლარაციას მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ მომავალი დირექტივის განხორციელების თაობაზე.

The European Parliament, the Council and the Commission welcome the Joint Declaration by Bulgaria and Romania on the implementation of the forthcoming Directive on the Management of Waste from Extractive Industries.

¹ OJ C 80, 30.3.2004, გვერდი 35.

² OJ C 109, 30.4.2004, გვერდი 33.

³ ევროპარლამენტის 2004 წლის 31 მარტის მოსაზრება (OJ C 103 E, 29.4.2004, გვერდი 451), საბჭოს 2005 წლის 12 აპრილის საერთო პოზიცია (OJ C 172 E, 12.7.2005, გვერდი 1) და ევროპარლამენტის 2005 წლის 6 სექტემბრის პოზიცია (ჯერ არ არის გამოქვეყნებული ოფიციალურ ჟურნალში). ევროპარლამენტის 2006 წლის 18 იანვრის საკანონმდებლო რეზოლუცია და საბჭოს 2006 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება.

Opinion of the European Parliament of 31 March 2004 (OJ C 103 E, 29.4.2004, p. 451), Council Common Position of 12 April 2005 (OJ C 172 E, 12.7.2005, p. 1) and Position of the European Parliament of 6 September 2005 (not yet published in the Official Journal). European Parliament Legislative Resolution of 18 January 2006 and Council Decision of 30 January 2006.

⁴ OJ L 345, 31.12.2003, გვერდი 97.

⁵ OJ L 257, 10.10.1996, გვერდი 26. დირექტივა ბოლოს შეიცვალა ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციით (EC) No166/2006 (OJ L 33, 4.2.2006, გვერდი 1).

OJ L 257, 10.10.1996, p. 26. Directive as last amended by Regulation (EC) No 166/2006 of the European Parliament and of the Council (OJ L 33, 4.2.2006, p.1)

⁶ OJ C 65 E, 14.3.2002, გვერდი 382.

⁷ OJ L 242, 10.9.2002, გვერდი 1.

⁸ OJ L 194, 25.7.1975, გვერდი 39. დირექტივა ბოლოს შეიცვალა ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No1882/2003 რეგულაციით (OJ L 284, 31.10.2003, გვერდი 1).

OJ L 194, 25.7.1975, p. 39. Directive as last amended by Regulation (EC) No 1882/2003 of the European Parliament and of the Council (OJ L 284, 31.10.2003, p. 1).

⁹ OJ L 182, 16.7.1999, გვერდი 1. დირექტივა შეიცვალა (EC) No1882/2003 რეგულაციით.

OJ L 182, 16.7.1999, p. 1. Directive as amended by Regulation (EC) No 1882/2003.

¹⁰ საბჭოს 1992 წლის 3 ნოემბრის დირექტივა 92/91/EEC ბურღვის მეშვეობით მინერალების მოპოვების ინდუსტრიაში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (მეთერთმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის კონტექსტში) (OJ L 348, 28.11.1992, გვერდი 9).

Council Directive 92/91/EEC of 3 November 1992 concerning the minimum requirements for improving the safety and health protection of workers in the mineral-extracting industries through drilling (eleventh individual Directive within the meaning of Article 16(1) of Directive 89/391/EEC) (OJ L 348, 28.11.1992, p. 9).

¹¹ საბჭოს 1992 წლის 3 დეკემბრის დირექტივა 92/104/EEC ზედაპირზე და მიწის ქვეშ მინერალების მოპოვების ინდუსტრიაში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (მეთორმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის კონტექსტში) (OJ L 404, 31.12.1992, გვერდი 10).

Council Directive 92/104/EEC of 3 December 1992 on the minimum requirements for improving the safety and health protection of workers in surface and underground mineral-extracting industries (twelfth individual Directive within the meaning of Article 16(1) of Directive 89/391/EEC) (OJ L 404, 31.12.1992, p. 10).

¹² OJ L 327, 22.12.2000, გვერდი 1. დირექტივა შეიცვალა 2455/2001/EC გადაწყვეტილებით (OJ L 331, 15.12.2001, გვერდი 1).

OJ L 327, 22.12.2000, p. 1. Directive as amended by Decision No 2455/2001/EC (OJ L 331, 15.12.2001, p. 1).

¹³ OJ L 143, 30.4.2004, გვერდი 56.

¹⁴ OJ L 184, 17.7.1999, გვერდი 23.

¹⁵ OJ C 321, 31.12.2003, გვერდი 1.

¹⁶ OJ L 377, 31.12.1991, გვერდი 20. დირექტივა შეიცვალა (EC) No166/2006 რეგულაციით.

OJ L 377, 31.12.1991, p. 20. Directive as amended by Regulation (EC) No 166/2006.

¹⁷ საბჭოს 1967 წლის 27 ივნისის 67/548/EEC დირექტივა საშიში ნივთიერებების კლასიფიკაციასთან, შეფუთვისა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებული კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ (OJ L 196, 16.8.1967, გვერდი 1). დირექტივა ბოლოს შეიცვალა კომისიის 2004/73/EC დირექტივით (OJ L 152, 30.4.2004, გვერდი 1).

Council Directive 67/548/EEC of 27 June 1967 on the approximation of laws, regulations and administrative provisions relating to the

classification, packaging and labelling of dangerous substances (OJ L 152, 30.4.2004, p. 1). Directive as last amended by Commission Directive 2004/73/EC (OJ L 152, 30.4.2004, p. 1).

¹⁸ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 31 მაისის 1999/45/EC დირექტივა, საშიში პრეპარატების კლასიფიკაციასთან, შეფუთვისა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ (OJ L 200, 30.7.1999, გვერდი 1). დირექტივა ბოლოს შეიცვალა კომისიის 2006/8/EC დირექტივით (OJ L 19, 24.1.2006, გვერდი 12).

Directive 1999/45/EC of the European Parliament and of the Council of 31 May 1999 concerning the approximation of the laws, regulations and administrative provisions of the Member States relating to the classification, packaging and labelling of dangerous preparations (OJ L 200, 30.7.1999, p. 1). Directive as last amended by Commission Directive 2006/8/EC (OJ L 19, 24.1.2006, p. 12).

¹⁹ საბჭოს 1985 წლის 27 ივნისის 85/337/EEC დირექტივა გარემოზე გარკვეული საჯარო და კერძო პროექტების გავლენის შეფასების შესახებ (OJ L 175, 5.7.1985, გვერდი 40). დირექტივა ბოლოს შეიცვალა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/35/EC დირექტივით (OJ L 156, 25.6.2003, გვერდი 17).

Council Directive 85/337/EEC of 27 June 1985 on the assessment of the effects of certain public and private projects on the environment (OJ L 175, 5.7.1985, p. 40). Directive as last amended by Directive 2003/35/EC of the European Parliament and of the Council (OJ L 156, 25.6.2003, p. 17).

²⁰ OJ L 41, 14.2.2003, გვერდი 26.

²¹ OJ L 102, 11.4.2006, გვერდი 15.

²² კომისიის 2000 წლის 3 მაისის 2000/532/EC გადაწყვეტილება, რომელიც ანაცვლებს 94/3/EC გადაწყვეტილებას, ადგენს ნარჩენების ნუსხას ნარჩენების შესახებ საბჭოს 75/442/EEC დირექტივის პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, და ასევე ანაცვლებს საბჭოს 94/904/EC გადაწყვეტილებას, რომელიც ადგენს სახიფათო ნარჩენების ნუსხას სახიფათო ნარჩენების შესახებ საბჭოს 91/689/EEC დირექტივის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად (OJ L 226, 6.9.2000, გვერდი 3). გადაწყვეტილება ბოლოს შეიცვალა საბჭოს 2001/573/EC გადაწყვეტილებით (OJ L 203, 28.7.2001, გვერდი 18).

Commission Decision 2000/532/EC of 3 May 2000 replacing Decision 94/3/EC establishing a list of wastes pursuant to Article 1(a) of Council Directive 75/442/EEC on waste and Council Decision 94/904/EC establishing a list of hazardous waste pursuant to Article 1(4) of Council Directive 91/689/EEC on hazardous waste (OJ L 226, 6.9.2000, p. 3). Decision as last amended by Council Decision 2001/573/EC (OJ L 203, 28.7.2001, p. 18).



დოკუმენტის არაოფიციალური თარგმანი შესრულებულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“.



© მწვანე ალტერნატივა, 2020

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG